# დროშა

№ 2 თებერვალი 1964

669
1964
ეროვნული ბიბლიოთეკა






საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრი-
ლობა. სხდომათა დარბაზში

ფოტო ი. დვალისა და თ. არჩვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქვეყნო საქმეთა გადასაწყვეტად

საქართველოს მშრომელებს, ჩვენს სახელოვან ადამიანებს კარგად ახსოვთ ეს მაღალი ტრიბუნა, ეს ნათელი დარბაზი — საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს სხდომათა დარბაზი.

ისინი აქ ხვდებიან ერთმანეთს, რათა გადაწყვიტონ საქვეყნო საქმეები.

მიმდინარე წლის იანვარში აქ თავი მოიყარეს საქართველოს კომუნისტებმა თავიანთ მორიგ XXII ყრილობაზე.

ყრილობა გაიხსნა იმ დღეებში, როცა ახალი ძალით ამოძრავდა დაულეველი ენერგია ჩვენი ხალხისა, რომელიც შთაგონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე.

როგორც მომხსენებელმა, ისე ყრილობის ტრიბუნაზე გამოსულმა სხვა დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს ის უდიდესი წარმატებები, რაც ამ უკანასკნელ წლებში იქნა მოპოვებული საბჭოთა ხალხის და, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების მიერ. ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიად სამუშაოთა ფართო ფრონტით, მთელი საბჭოთა კავშირის და კერძოდ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა სულ უფრო იზრდება და იფურჩქნება. წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმა — ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების გეგმა.

განვლილი წლების უმნიშვნელოვანესი მოვლენები გამოხატავდა ჩვენი დროის მთავარ კანონზომიერებას: სწრაფად მიმდინარეობდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სასიცოცხლო ძალების ზრდისა და განმტკიცების პროცესი. ეს პროცესი, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტად აფთრებდა იმპერიალიზმის მესვეურებს, რომლებიც ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ომის საშიშ ზღვარზე დააყენონ მსოფლიო, მაგრამ მომაკვდავი ბურჟუაზიის მიერ მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის ხელყოფის ყველა უბადრუკი ცდა სავალალოდ იფუშება.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ჩვენი პარტიის თეორიული დასკვნებისა და პოლიტიკური კურსის, მისი გენერალური ხაზის სისწორე, იმ წინასწარგანჭვრეტათა სისწორე, რომლებიც ჩვენს ხალხს დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადმა პროგრამამ — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამამ.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხის ცხოვრებაში, განვლილი წლები აღინიშნა ეკონომიკის, კულტურისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობით. მრეწველობის პროდუქციის მატება განვლილ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკაში შეადგენს ორ ათეულ პროცენტზე მეტს. გადაჭარბებით არის შესრულებული თუჯის, ფოლადის, ფოლადის მილების, ნაგლინის, მაგისტრალური ელმავლების, სატვირთო ავტომობილების, ელექტროშესადუღი მოწყობილობის, ცემენტის, ასაწყობი რკინა-ბეტონის, აგრეთვე ტრიკოტაჟის ნაწარმის, ჩაის, ღვინისა და სახალხო მოხმარების ბევრი სხვა საქონლის წარმოების წლიური დავალებები.

ამ წლების მნიშვნელობა საბჭოთა საქართველოს მრეწველობის განვითარებაში არ ამოიწურება მრეწველობის პროდუქციის მოცულობის ზრდით. ისეთი პერსპექტიული დარგების უპირატესმა განვითარებამ, როგორიც არის ქიმია, მანქანათმშენებლობა და ელექტროენერგეტიკა, განაპირობა პროგრესული ძვრები რესპუბლიკის მრეწველობის სტრუქტურაში. მაგალითად, მანქანათმშენებელი და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში გადიდდა 16 პროცენტით, ნაცვლად 1958 წლის 8,5 პროცენტისა.

ქიმიური მრეწველობის განვითარების საშუალო წლიური ტემპი დაახლოებით ერთიორად აღემატება რესპუბლიკის მთელი მრეწველობის ზრდის საშუალო წლიურ ტემპს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს მშენებლებსა და ქიმიკოსებს მოულოცეს დიდი შრომითი გამარჯვება — კაპროლაქტამის — სინთეზური ბოჭკოების, კორდისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონლის ძვირფასი ნედლეულის წარმოების დიდ და რთულ საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავება.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგშიც. ტრიბუნაზე გამოსული დელეგატები სიამაყის გრძნობით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ მარტო გასულ წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ორჯერ მოულოცეს დიდი შრომითი გამარჯვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს — სახელოვან მეჩაიეებსა და მხვნელ-მთესველებს, რომლებმაც შარშან სახელმწიფოს მიყიდეს 186 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 168 ათასი ტონისა, და 12 მილიონზე მეტი ფუთი მარცვალი.

ყრილობამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია სარწყავი მიწათმოქმედება. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევით, რომელიც მან ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე გამოთქვა, ჩვენს რესპუბლიკაში 1964 წლის მოსავლისათვის უკვე გამოყოფილია 180 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, ხოლო ახალი სარწყავი სისტემების ამოქმედების კვალობაზე, 1966-1970 წლების განმავლობაში გამოყოფილი იქნება კიდევ დაახლოებით 150 ათასი ჰექტარი.

სახალხო დოვლათის დაგროვება, მშრომელთა მატერიალური დონის ზრდა კიდევ უფრო მეტად აამაღლებს საბჭოთა ადამიანების კულტურულ დონესაც.

საბჭოთა ხალხი აქტიურ შეტევას აწარმოებს ახალი კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური ფრონტია. ახლა ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიის მთელი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველყოს სკკპ პროგრამის განხორციელება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ დამკვრელ იდეოლოგიურ ძალებს, როგორიც არის პრესა, რადიო და ტელევიზია.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მუშაობის უფრო მაღალი დონე ჩვენი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, რომლებმაც თავიანთ საქმიანობაში მდიდარი და ძვირფასი გამოცდილება შეიძინეს.

რესპუბლიკის ლიტერატურული ჟურნალების რედაქციები ყოველთვის როდი უდგებიან ჯეროვანი პასუხისმგებლობითა და პარტიული მომთხოვნელობით მასალების შერჩევასა და გამოქვეყნებას.

ყრილობამ აღნიშნა ქართველ სწავლულთა მრავალი შესანიშნავი მიღწევა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში, ქართველ ხელოვანთა, პროზაიკოსთა, პოეტთა და დრამატურგთა ბევრი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გამარჯვება, თუმცა ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება ჯერ კიდევ მაინც ვერ ასახავს ისე ღრმად და ოსტატურად ჩვენს სისხლსავსე, ბობოქარ ცხოვრებას, როგორც ეს შეეფერება კაცობრიობის დიადი მომავლის მშენებლის — გმირი საბჭოთა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებასა და ესთეტიკურ მიდრეკილებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს მშრომელთა მოწინავე რაზმის — საქართველოს კომპარტიის უსაზღვრო ერთგულება მარქსისტულ-ლენინური იდეებისადმი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისადმი, დაადასტურა ჩვენი ხალხის დაუცხრომელი სწრაფვა მთელი ძალღონის დაძაბვით აშენოს კომუნიზმი — მთელი კაცობრიობის ნათელი და ბრწყინვალე მომავალი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ცისკარი

№ 2 (151) თებერვალი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# შირაქზე რომ მზე ამოდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

Იმ ხანებში, როცა ზემო მაჩხაანში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, იქაური მეცხვარეებისათვის რომ გეთქვათ, მალე სახელმწიფოს ას ოცდათვრამეტ ტონა მატყლს მიყიდითო, გაიოცებდნენ: რას ამბობ, კაცო, მაგდენი მატყლი მთელ დუნიაზე არ იქნება და ჩვენ საიდან გვექნებაო. მაგრამ აბა უსმინეთ რას ამბობენ ახლა: წელს ნოტიო ამინდი რომ არ ყოფილიყო, უფრო მეტ მატყლს მივყიდიდით სახელმწიფოსაო. მერე და არ იკითხავთ, რამდენი მიჰყიდეს? იმდენი, რომ იმ მატყლით ას ოცდაათი ათასზე მეტი კაცი ჩაიცვამს მშვენიერ კოსტიუმს.

— მირზაანელი მეცხვარეების საქმე როგორ არის, კარგად აუბეს მხარი ზემომაჩხაანელებს? — ვეკითხებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკო მამაიაშვილს.

— შაბათი დღე იყო, როცა მირზაანის კოლმეურნეობა შემოგვიერთდა, — გვიყვება მამაიაშვილი, — მეორე დღეს ყოფილ თავმჯდომარესთან ერთად შემოვიარე მეცხოველეობის ფერმები. ისეთ დღეში იყვნენ, გული მოგიკვდებოდა, ან რა ყოფაში უნდა ყოფილიყვნენ, როცა ას ოცდახუთი დაქირავებული მწყემსი ჰყავდათ. ჰოდა, ის დალოცვილიშვილებიც თავს არ იტკივებდნენ საქმისათვის. მკვიდრი კოლმეურნეები შინა საქმეზე მუშაობდნენ. სოფელში თქვენი მეცხვარეები თუ გყავთმეთქი, ვკითხე ყოფილ თავმჯდომარეს. გვყავს, მაგრამ ცხვარში აღარ მიდიანო, მიპასუხა.

მეორე დილას მირზაანელთა ყოფილ კანტორაში ოცდახუთამდე ნამწყემსარი კოლმეურნე გამოვიძახე და თათბირზე პირველი კითხვა მივეცი: აბა თუ მეტყვით, წინათ ქიზიყის სოფლებში ვის უფრო მეტი ცხვარი ყავდა, ან ვინ უფრო კარგ მეცხვარეებად ითვლებოდა-მეთქი?

— მეტი ცხვარიც და კარგი მეცხვარეც მირზაანში იყო, — მიპასუხეს.

— მაშ რაშია საქმე, რომ ახლა დაქირავებულთა ხელშია თქვენი ცხვარი?

— ნიკო, — მითხრეს ერთხმად, — საქმე ის არის, რომ მწყემსს აქ შრომას არავინ უფასებს, თორემ განა ცხვრის მოვლა დაგვავიწყდა? განა არ ვიცით, რომ სხვის ხელში ჩავარდნილი საქონელი ცოდვაა?

— მაშ, რაკი ეგრეა, ხვალ ყველანი წახვალთ ცხვარში, მიხედავთ ჩვენს პირუტყვს და ნახეთ, დაგიფასებთ თუ არა ამაგს!

მეორე დღეს მართლაც ყველა მათგანი დაუბრუნდა ცხვარს, დღეისათვის კი არც ერთი დაქირავებული მწყემსი აღარ გვყავს, საქმესაც კარგი პირი უჩანს.

ზემომაჩხაანელების მინდვრების ბარაქა ხომ დიდი ხანია განთქმულია. გასულ წელს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ათი ათას ტონამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი მიჰყიდა.

— თვითეული საკოლმეურნეო კომლის ანგარიშზე, — გვეუბნება მამაიაშვილი, — წელს სახელმწიფოს რვა ტონაზე მეტი პროდუქტი მივყიდეთ. ამასთან საკოლმეურნეო ფერმებში სამოცი ათასზე მეტი პირუტყვი და ფრინველი გვყავს, საშემოდგომო კულტურების ნათესები წელს 4.500 ჰექტარამდე გავზარდეთ, გაზაფხულის კულტურებსაც 2.500 ჰექტარზე დავთესავთ; ჩვენი მექანიზატორები კარგად ფლობენ ტექნიკას, ტრაქტორებს სრული დატვირთვით იყენებენ; მარცვლეულის მოსავლის მოყვანა-დაბინავება თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტით მექანიზებულია, ფართოდ ვნერგავთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციასაც მეცხოველეობის ფერმებში. მაგრამ ჩვენი ორმოცდათოთხმეტი ტრაქტორი, ორმოცდახუთი კომბაინი და სამოცდათორმეტი ავტომანქანა საკმარისი აღარ არის. ასე რომ, მოგვიხდება ტექნიკის კიდევ შეძენა.

— წელს კარგი მოსავალი გქონიათ, ამხანაგო ნიკო, როგორია შრომადღის ღირებულება?

— თვითეულ შრომადღეზე ჯერჯერობით ორნახევარი კილოგრამი ხორბალი, შვიდასი გრამი სიმინდი, ას შრომადღეზე ათი კილოგრამი ხორცი, ფული და სხვა პროდუქტები გავანაწილეთ, სულ მალე კიდევ გავანაწილებთ დამატებით პროდუქტებს.

კოლმეურნეთა აქტივობას ჩვენთან ისიც უწყობს ხელს, რომ დიდ ყურადღებას ვაქცევთ შრომის დამატებით ანაზღაურებას. მაგალითად, მემცენარეობაში მომუშავე კოლმეურნეს მოსავლიანობის გეგმის შესრულების შემთხვევაში დამატებით ეძლევა მოყვანილი მოსავლის 2 პროცენტი, გეგმის ზევით მოყვანილი მოსავლიდან კი — ათი პროცენტი. ასევეა მეცხოველეობაშიც. წელს გეგმის ზევით გამოზრდილი ნამატისათვის მეცხოველე კოლმეურნეებზე უკვე გავეცით 10.156 კილოგრამი ხორცი ცოცხალი წონით, მატყლის წარმოების გეგმების შესრულებისათვის კი ჩვენი მეცხვარეები მიიღებენ ფულად პრემიებს. ამას ემატება ისიც, რომ სოფელში გახსნილი გვაქვს წერტი, სადაც სახელმწიფოს შესყიდვის ფასებში კოლმეურნეებისათვის ყოველდღე ვყიდით რძეს.

ნიკო მამაიაშვილი აქ ჯერ სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, 1938 წელს კი, როცა სიღნაღის რაიონს წითელწყაროს რაიონი გამოეყო, საგზაო განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, ხოლო 1941 წელს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს და დღემდე ამ საქმეს ემსახურება.

...ზემო მაჩხაანში ხშირად გაიგონებთ მოხუც კოლმეურნეთა მიერ გაკვირვებით ნათქვამს: კაცებო, გამიგონია, ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო და ამ ჩვენი თავმჯდომარისას კი ვერ გაიგებ როდის სძინავს, მთელი ღამე ხომ სადაც არ ელი, იქ გაჩნდება, დილაა და ტოროლაც კი ვერ დაასწრებს წამოდგომასა!

— საქმესაც ამიტომ უძღვება ასე კარგად!

— კაცო, მაგას რა გამოეპარება? შარშანწი-ნეებში ჩანკაანზე საღამოთ მოვიდა. ის იყო მუშაობას ხელი ავუშვით. გველაპარაკებოდა, თურმე ხვავები დაუთვალიერებია. მეორე დილას ისევ ადრე მოგვიქროლა და ყველანი სალდათებივით ფეხზე დაგვაყენა—ამ დიდ ხვავსა ფერდი რათ აქვს ჩამოგლეჯილიო. ვერ გავიგეთ რა შეატყო იმ ხვავსა, ერთი ბოლუქი ხალხი იქ ვიყავით და იმ ღამეს არაფერი გაგვიგია, თურმე პური მოუპარავთ. წინა საღამოს ჩვენიდან რო გაბრუნებულა, გზადაგზებით ერთი უცხო მანქანა დაუნახავს და ეჭვი აუღია, ეგ საკაიკაცოდ არ დადის აქო. მთელი ღამე ამის ფიქრში გაუტარებია. იმდენი იძია, რომ ის მანქანაც იპოვნა და პურიც კალოზე მოატანინა. ჩვენ კი სირცხვილით დავიწვით.

არ გახსოვთ რა თქვა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიტო ჯანიკაშვილმა, ისა და ჩვენი თავმჯდომარე მოსკოვში რომ იყვნენ ერთად? თურმე უთხრეს, ერთი-ორი დღე კიდევ დაჩრჩით, მოსკოვი დავათვალიეროთო. ნიკოს ეთქვა, რას ამბობთ, კაცო, აგვისტოა, აქ რომ ეგრე დაცხა, იორზე რაღა იქნება, დროზე თუ არ ჩავხედე, ვინ იცის კამეჩები არ ჩაიყვანონ იორზე და დამესიცხონო. იმათ სიცილი დაეწყოთ, ნიკო კი მოსკოვიდან პირდაპირ იორზე ჩამოსულიყო და ენახა კამეჩები, მართლაც ჯერ არ ჩაერეკათ მდინარის პირასა, მერე ერთი ცხელი დღე დაეყარა მეკამეჩეებისთვინა: ხომ ხედავთ სიცხისაგან ქვეყანა იწვის და რაღას უყურებთო. იმ დღითვე ჩაერეკათ კამეჩები იორზე და საღამოთღა მოვიდა სოფელში ჩვენი თავმჯდომარე.

მთელი ეს ამბები გლეხკაცის ალალი გულით ამოთქმული სიმართლეა. ამიტომ უყვართ მაჩხაანელებს თავიანთი თავკაცი და ამიტომაც ამბობენ:— სანამ ნიკოს მუხლი უჭრის, იქამდე უნდა იყოს ჩვენი თავმჯდომარეო!

ჰაი-ჰაი, რომ იქნება! რატომაც არ იქნება, როცა მხარში მთელი სოფელი ამოსდგომია! აბა ერთი შეხედეთ, რა ვეფხვივით ბიჭები ტრიალებენ მის ირგვლივ: აგრონომი მურთაზ ნატროშვილი, მემინდვრეობის ბრიგადირი ვასილ ბოსტოღანაშვილი, მეძროხეობის ბრიგადირი გორდა ნატროშვილი, მეცხვარეობის ფერმის გამგე ვალიკო ჯანაშვილი, ბრიგადირები არსენ პაპაჩაშვილი და შალვა ლობჟანიძე, კოლმეურნეები ი. პოპიაშვილი, ფ. მოსიშვილი, ნ. ლობჟანიძე, ე. გავაშელაშვილი და მრავალი სხვა — რომელი ერთი მოსთვალოს კაცმა! ეს ხალხი რომ არა, თვითონ სოფელი რომ არა, აბა მარტო მამაიაშვილი რას გახდებოდა! დაილოცოს მათი მარჯვენა, შირაქზე რომ მზე ამოვა, უკვე შრომითა და გარჯით არიან მოღლილნი.

...დღე ისე არ გათენდება, ათასი საქმე და ათასი საკითხი არ წამოიჭრას. ახლაც აი, კმაყოფილი დაბრუნდა სიღნაღიდან ნიკო მამაიაშვილი. საწარმოო სამმართველოს 100.000 ძირი ნამყენი ვაზის ლიმიტი დააშვებინა ახალი ვენახების გასაშენებლად, „საქსოფლტექნიკის" სიღნაღის ბაზას კი 10 ტონა ჰექსაქლორანი გამოაწერინა. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ცხრა სიცოცხლე რომ ჰქონდეს ნიკოს, ცხრასვე შეალევს ამ სოფლის კეთილდღეობას. ეს იციან მაჩხაანელებმაც და ამიტომ არის, რომ არც თვითონ იზოგავენ თავს საკოლმეურნეო შრომაში. ეს შრომაა, რომ ავსებს მათ სიცოცხლეს, ეს შრომაა, რომ დოვლათსა და ბარაქას ატრიალებს მათ ოჯახებში, ეს შრომაა, რომ აშენებს იმ ნათელსა და ხანუკვარ მომავალს, რისთვისაც ღირს ამ ქვეყანაზე ცხოვრებაც და ბრძოლაც.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲩᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## მასში ფეთქს გული გაზაფხულისა

### ვლადიმერ პანოვი

ძველ თბილისს ახსოვს — ცა ხმლებით ჰკაწრეს,
დღეებმა ცეცხლში გადაიქროლეს,
მტერი სწვავს აკვნებს, ბაღებს და ტაძრებს
და ხმლად შემართულ შოთას სტრიქონებს.
ცეცხლის გველები, ვით ჯამბაზები,
ათამაშებენ ენებით ეტრატს,
ღამის ურჩხული ყეფს გაბრაზებით
და ბნელი ღამე თენდება თეთრად.
მაგრამ მიწა ვით დააყამირონ,
ხალხი დაამხობს მომხვდურს შხამიანს,
დედამიწაზე ცეცხლი ამირანს
სიკეთისათვის მოუტანია;
და არა მისთვის — კარდაკეტილი
სიცოცხლე მიწამ წყლულივით ზიდოს,
გულში სწორედ ის ცეცხლი კეთილი
უდევთ ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს.
პოეტი, ვით მზე მარადიული,
მიარღვევს წყვდიადს საუკუნეთა,
ხალხს ესმის მისი ხმა მშობლიური
ჭირშიც, ლხინშიც რომ აგუგუნებდა.
მასში ფეთქს გული გაზაფხულისა,
ზამთრის სითეთრე, ზაფხულის სიცხე,
სინათლის ტახტად აღმართული ცა
და დედამიწა დინჯი და ფიცხი.
...შენ ვერ მოგარგეს ღამის სარქველი,
ათასჯერ დაგწვეს და არ გათავდი,
და ჰა, დღეები ისევ არქმევენ
შვილებს — ტარიელს, ფრიდონს, ავთანდილს.
არა აქვს ბოლო შენს უკვდავ სიტყვას,
არსებობს მხოლოდ მისი სათავე,
იგი ცეცხლშიაც სვეტივით იდგა,
შუქად აჭრილი მეცხრე ცათამდე.
ხანძართ სიხშირემ, წელთა მრავლობამ
ის უფრო აწრთო და აქანდაკა,
წავიდა შენი შთამომავლობა—
ვეფხისტყაოსან გმირთა კვალდაკვალ.
და შუქი ისევ ებრძოდა წყვდიადს,
დედამიწაზე შავად მოწოლილს,
ბარიკადებზე წიოდა ტყვია,
ცეცხლოვან ლექსებს სწვავდა კოცონი.
ვხედავ, ბოროტი ცეცხლი ედება
დროთა გაქროლილ ქორონიკონებს,
მკერდგანგმირული შემოქმედები
სისხლს ურითმავენ ბოლო სტრიქონებს.
და მზისკენ მიჰქრის სიმღერა მათი,
თუმც პოეტები დამუნჯებულან,
სწვავს მაშუკს იმ დღის ბოლმა და ხვატი,
შავი მდინარე გაურჩებულა.
მიწას სტკივა და აშფოთებს არაგვს
ილიას შუბლზე დახლილი ტყვია,
ცივი ბორკილი ძვლებს უმტვრევს ტარასს,
პეტეფის სუნთქვა გრიგალებს მიაქვთ.
აწ დამსხვრევია შავ წყვდიადს ხმალი,
ქარს გაუფანტავს კოცონთა ნავლი
და მზემდე ადის სიმღერის ალი
ჩაუქრობელი, ლაღი და მძლავრი.
ვერ მოსპო ყინვამ, ვერ დასწვა სიცხემ,
საუკუნეებს გადევლო თავზე,
ყოველდღე ახალ სიცოცხლეს იწყებს
სიტყვა, მარადი ვით მიწა და მზე;
სიტყვა — უკვდავი ქებათა ქება
ძმობის, ბრძოლის და თავისუფლების
და თაობები, წყება და წყება,
მას, როგორც მამას, ვესაუბრებით.
და მე სიმართლის გუგუნი მესმის
მიწას რომ ათოვს სხივად და წვიმად, —
გაცოცხლებულა დამწვარი ლექსი,
გამქრალა იგი, ვინც სწვავდა იმას!..
და ჰქრის სიმღერა დედამიწაზე
როგორც სიცოცხლის უსაზღვროება.
...დევს გაზაფხულად ჩემს მაგიდაზე
ცეცხლგამოვლილი შოთას პოემა.
იმის მოსპობას ვის დავუთმობდით,
გულში ჩაუკრავს მამულს მხრებგაშლილს
წიგნი, რომელმაც შავი ხანძრიდან
გადააბიჯა უკვდავებაში.

თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა

# თქვენ რას იტყვით?



აგერ გოგონები — ლალი სიგუა და ქეთინო ნადარეიშვილი, სამზარეულოში სხედან და ვერმიშელს არჩევენ. ერთი ნამცეცი მტვერიც არ უნდა შეჰყვეს, თორემ კერძი გემრიელი აღარ იქნება — ეს კარგად იციან პაწია მზარეულებმა.

თქვენ რას იტყვით, დედებო, ამ ამბავზე? თქვენ თვითონ ავალებთ თქვენს ბავშვს ასეთ რამეს, როცა მას ჯერ სკოლის ასაკისათვის არ მიუღწევია? რას აკეთებთ იმისათვის, რომ პატარებმა ადრინდელი ასაკიდანვე გაიწაფონ ხელი საქმეში?

არ იფიქროთ, რომ ეს გოგონები იმიტომ შრომობენ, თითქოს საბავშვო ბაღს ვერმიშელის თუ ბრინჯის დამრჩევი არავინ ჰყავდეს, ანდა სახლში იყოს აუცილებელი მათი შრომა? სულაც არა! აი თუნდაც ლალის შეხედეთ, ასე რომ უხდება მზარეულის ჩაჩი თავის გაფიფინებულ ლენტებთან ერთად. ლალის მამა ცნობილი ქირურგია და ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ მის ოჯახს პატარა ლალის მისახმარებელი არაფერი სჭირს.

მაშ რათ მუშაობს ლალი? იმიტომ, რომ კარგი და ბეჯითი იყოს, სახელოვანი მოქალაქე გაიზარდოს, აღარ გაუჭირდეს, როცა სკოლაში წავა, მერე, როცა უფრო ფართო ასპარეზზე — ცხოვრებაში გამოვა, არ დაემსგავსოს იმ უქნარებს, რომლებსაც უკვე ჩვიდმეტ-თვრამეტი თუ უფრო მეტი წლის ასაკში არ შეუძლიათ ღილი თვითონ დაიკერონ და ეზარებათ ჩაი თვითონ დაისხან — ყველაფერი დედამ უნდა გააკეთოს. ხომ გინახავთ ასეთებიც?

ნათია კავსაძემ კბილი ახლახან მოიცვალა, მაგრამ გოგონა მაინც სიმღერის გუნებაზეა. რატომაც არა, გვარით არ მოსდევს, თუ რა?





ქეთინო მესხი, მარინე გაგნიძე და მანანა ფაშალიშვილი სასადილო მაგიდას აწყობენ; ისე ჯარასავით ტრიალებენ გოგონები, თითქოს გამოცდილი დიასახლისები არიანო. ვაი, თუ ამ სიჩქარეში თეფში გაუტყდეთ? ნუ გეშინიათ, ჯერ ერთი, ეს არ მოხდება, მეორეც — მეორედ აღარ გასტეხენ და მესამეც—შრომას შეეჩვევიან.

მირა ვიგნანსკაია და მაია ბობოხიძე ყურადღებით შესცქერიან ხელებში აღმზრდელს — იულია თვალავაძეს. უნდათ ისეთი რეცხვა ისწავლონ, რომ მათი ცხვირსახოცები თოვლივით თეთრად ქათქათებდეს.



ნინო გრიგორაშვილმა კი უკვე მოასწრო თავისი ცხვირსახოცების გარეცხვა და ახლა გასაშრობად ჰფენს.



არც ისე ძნელი ყოფილა ფეხსაცმელების გაწმენდა — დედა რათ უნდა გააწვალო ასეთ პატარა საქმეზე?.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა







ქეთინო ახვლედიანი ყვავილებს უვლის.

გია ნუცუბიძე უკვე მრავალსართულიან სახლებს აშენებს. პატარა მალხაზ ძნელაძე კი მძიმედ ჩაფიქრებულა — როდის შესძლებს გიასავით გამოცდილი მშენებელი გახდეს?

მანანა ცქიტიშვილი ახლავე ოცნებობს, რომ ექიმი გამოვიდეს. არის კიდევაც ექიმი: მისი პირველი პაციენტი — მისივე დედოფალაა. ავად ჰყავს მანანას თავისი დედისერთა და ნემსს ამზადებს შესაშხაპუნებლად — იქნებ სიცხემ დაუწიოს!



ითამაშეს, იმხიარულეს და აი სადილობის დროც მოვიდა.

ახლა კი, კმარა, ბავშვებო, ძილის დროა!



• • •

და ბოლოს, ორიოდე სიტყვაც:

დიდად ახალი ამბავი არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ყოველი პატარა ბავშვი ჯერ სკოლის მომავალი მოსწავლე და მერე ქვეყნის პატრონი და მშენებელია. სკოლაში კი ბავშვები მათთვის უჩვეულო ატმოსფეროში ხვდებიან. უხდებათ გარკვეული მოვალეობის შესრულება და წინააღმდეგობების გადალახვა, რაც კლასიდან კლასში გადასვლისას სულ უფრო რთულდება. ეს პროცესები რომ ნორმალურად წარიმართოს, საჭიროა, რომ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში გამოვუმუშაოთ ბავშვებს ელემენტარული შრომის ჩვევები, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა.

როგორ ახერხებენ ამ ამოცანის გადაჭრას ჩვენი აღმზრდელები? თქვენ უკვე გაეცანით ორჯონიკიძის რაიონის პირველი საბავშვო ბაღის ცხოვრებას. შეაბიჯებთ თუ არა საბავშვო ბაღის ეზოში, ბევრი რამ მოგტაცებთ თვალს. თუთის ხეივანი, სილა, ათასგვარი საქანელები, სასრიალო, შადრევანი, ჩიტებისა და კურდღლების გალიები, სათამაშო მოედანი, სოფლის პეიზაჟის კუთხე, ბოლოს, კოპწია ორსართულიანი შენობა ლამაზად მოწყობილი, მზიანი ოთახებით. აქ ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი პატარებს შინაარსიანი გართობისა და დასვენებისათვის. ლამაზად გაფორმებულ სურათებზე, მასწავლებლის დახმარებით, აღწერენ საგნებსა და მოვლენებს, სწავლობენ ენის გასატეხ ანდაზებს და ივითარებენ მეტყველებას. მუშაობენ პლასტელინზე (აკეთებენ კალათებს, ჭურჭელს, სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებებს), აპლიკაციაზე; აღსანიშნავია, რომ ამ დროს ისინი ეჩვევიან სხვადასხვა ფერთა და ფორმათა შეთანხმებას.

შრომითი ჩვევების დანერგვისათვის, განსაკუთრებით კი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მორიგეობას. მორიგეებს აქვთ სპეციალური ნიშნები. მათი მოვალეობაა ოთახის მცენარეების მორწყვა, ჩიტებისა და თევზების დაპურება, სასადილო მაგიდის გაშლა-ალაგება.

გართობისათვის ბავშვებს აქვთ სანახაობების შესანიშნავი დარბაზი როიალით, მაგნიტოფონით, ტელევიზორით, ლანდებისა და თოჯინების თეატრით.

საბავშვო ბაღი ბავშვის აღზრდის შესანიშნავი კერაა, მაგრამ იგი უძლური აღმოჩნდება, თუკი ის, რასაც ბავშვები ბაღში ღებულობენ, სახლში უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

პატარა ყოველთვის ცდილობს დაეხმაროს უფროსებს საქმის კეთებაში, რაც, ბევრ შემთხვევაში მარცხით მთავრდება (უტყდება თეფში, ფინჯანი და სხვა). უნდა მივცეთ მას, თუ ხელიდან გამოვტაცოთ ეს მცირედი დახმარების შესაძლებლობა?

დედებო, დიდად კმაყოფილი ვიქნებით, თუკი თქვენს მოსაზრებებს მოგვწერთ. მოდით, ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ აღვუზარდოთ სამშობლოს ღირსეული და სასახელო მოქალაქენი!

ტექსტი ვენერა შინდაგორიძისა
ფოტო თ. არჩვაძისა

# …ვენ რას ვსწავლობთ ბაღში?



კონგრესის ერთ-ერთი სექციის სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუბა და კუბელები

სიმონ კინწურაშვილი

## იუნესკოს სცდება

კუბელი ხალხის სიმღერები, ძველიც და თანამედროვეც, იქ ყოფნისას ბევრი მოვისმინეთ — კაფეებში თუ კონცერტებზე, სალამოს ქუჩაში, სახლების წინ თუ ავტობუსში... მაგონდება იმპროვიზირებული კონცერტი „ჰაბანა ლიბრეს“ ვესტიბულში, ჩვენი გამოფრენის წინა სალამოს. გოგონები და ბიჭები (მათ შესახებ ქვევით აუცილებლად გიამბობთ) მოვიდნენ ჩვენ გასაცილებლად, გოგონათაგან ბევრი იცრემლებოდა — ენანებოდა, რომ მივდიოდით. სკამების წრე ვიწროდ შეიკრა. ერთ-ერთი გოგონა მღეროდა თავდავიწყებით. ოდნავ გაბზარული, არაპროფესიული ხმა ძალიან უხდებოდა მგრძნობიარე სიმღერებს. დაამთავრებდა სიმღერას და შემდეგ კი გადაგვითარგმნიდა... კუბელს არ შეუძლია არ იცეკვოს და არ იმღეროს (კურორტ ვარადეროში არ დამავიწყდება ერთი შავთვალა ქალიშვილი, რომელსაც სმენა არ ჰქონდა, მაგრამ მაინც თავდავიწყებით მღეროდა). სინაზე და რომანტულობა, შინაგანი ცეცხლოვანება და რიტმი, ორი საწყისი — კრეოლებისა და შავკანიანების — ყველაფერი ორგანულად შერწყმულა, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მე ასე მომეჩვენა...

მაგრამ განა მარტო სიმღერა და ცეკვა?! თქვენ უნდა ნახოთ, როგორი შინაგანი ღირსებით დგას კუბელი ქალი თუ კაცი (მათ შორის, ხანში შესულებიც) იარაღით ხელში სადარაჯოზე; როგორი მოვლილია მანდარინის თუ შაქრის ლერწმის პლანტაციები; როგორ ხეხავდნენ ალიონზე ჯაგრისით და წყლით ქუჩის ქვაფენილებს მეეზოვეები. როგორი სისუფთავეა პალმებით გაწყობილ, ცემენტის ქარხნის ეზოში—და თქვენ მიხვდებით, რომ ამ ხალხმა ბრძოლა და შრომაც კარგი იცის; ზოგს მოეჩვენა, რომ ცხოვრების, შრომის ტემპი აქ ოდნავ ნელია. შეიძლება ასეც იყოს. ყველა ქვეყანას, ყველა ხალხს ცხოვრების თავისი შინაგანი რიტმი გააჩნია, რომელიც მისი ბუნებით არის გაპირობებული. ამით განსხვავდებიან ადამიანები და ხალხები ერთმანეთისაგან. სწორედ ეს არის მიმზიდველი. განა ასე საჭიროა ისინი ყველგან ერთნაირები იყვნენ? ასეთი სურვილის ცხოვრებაში გატარებას, წარსულში არასოდეს კარგი შედეგი არ მოუტანია... ახლა — ბლოკადის პირობებში — კუბელის ცხოვრების პირობები ყველაზე ნაკლებად განაწყობს ადამიანს სიმღერის და ცეკვისათვის. თუ ეს ხალხი ამისათვისაც ნახულობს დროს და განწყობას — ეს მის დიდ რწმენაზე და დიდბუნებოვანებაზე მიუთითებს.

„Es Tudiar, es Tudiar, es Tudiar...“ ეს ჩვენთვის კარგად ცნობილი სამი სიტყვა—„სწავლა, სწავლა, სწავლა...“ დიდი ასოებით არის გამოსახული უზარმაზარ სარეკლამო ფარებზე და ქალაქებში თუ ქალაქგარეთ ხშირად გვხვდებოდა გზისპირას. ახალ კუბაში სწავლას რეკლამირება აღარ ჭირდება. ლოზუნგი კი შესანიშნავად გადმოცემს იმ სასიხარულო მოვლენას, რომელიც ამ ქვეყანაში ხდება — აქ ყველა სწავლობს. საქვეყნოდ ცნობილია დიდი გამარჯვება, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი არმიის წევრებმა მიაღწიეს ამ რამდენიმე წლის წინათ — მათ ერთ მილიონზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მუშას შეასწავლეს წერა-კითხვა და ერთ წელში განახორციელეს ის, რაც იუნესკოს გამოანგარიშებით მოითხოვდა ათ წელს. რევოლუციური მთავრობა დიდად ცდილობს ახალგაზრდობაში სწავლის წყურვილის გაღვივებას, იღწვის სწავლისათვის ყველა პირობის შესაქმნელად. მდიდრების მიერ მიტოვებულ ფეშენებელურ კოტეჯებში სტუდენტების საერთო საცხოვრებლებია გახსნილი. უფასოა: სწავლა, საშუალო და უმაღლესი სკოლების სტუდენტთა ფორმები, კვება, სახელმძღვანელოები. სტუდენტებს ჯიბის ფულსაც აძლევენ. ამ დიდი ზრუნვის ღირსეული დაფასება იყო კონგრესის გახსნაზე უზარმაზარ სპორტულ დარბაზში 2000-ზე მეტი ადამიანის მიერ გამართული მხურვალე ოვაცია, როდესაც პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა მოიყვანა ასეთი ციფრები: აშენებულია 661 სოფლის სკოლა 1700 აუდიტორიით, 845 სასკოლო ცენტრი 8.450 აუდიტორიით... 6 ტექნოლოგიური სკოლა, 4 დაწყებითი ინსტიტუტი. შენდება უნივერსიტეტის ახალი კორპუსები, ხელოვნების აკადემია, 6 დიდი სამხედრო ყაზარმა გადაეცა ტექნოლოგიურ სკოლას, 80 სხვა ყოფილ ყაზარმაში 80 სკოლაა მოთავსებული და ა. შ. სასკოლო მშენებლობის უდიდესი მიღწევაა სიერა-მაესტრას მთების ძირას კამილო სანფოეგოსის სახელობის ახალი სასკოლო ქალაქი 20.000 მოსწავლეზე (სამწუხაროდ, ჩვენ ის ვერ ვნახეთ, მაგრამ ვისაც კი უნახავს, აღფრთოვანებულია ამ კომპლექსის არქიტექტურით).

ამ უდიდეს ზრუნვას, რაც ხშირად უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ახალგაზრდობა მხურვალე სიყვარულით და სწავლის წყურვილით პასუხობს.

## ო—ო—ო, კუბა!

ხუთი ოფიციალური ენა იყო ჩვენს კონგრესზე: ესპანური, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული. ამდენ ჩამოსულს ბევრი თარჯიმანი სჭირდებოდა. სასტუმროში მისვლისთანავე უკვე ვესტიბულში დაგვხვდნენ 16-17 წლის გოგონები და ბიჭუნები — უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტები. ყველაზე მეტად მგონი მათ უხაროდათ ჩვენი ჩამოსვლა: „თქვენთან საუბარი ჩვენთვის კარგი პრაქტიკა იქნება“. საშუალოდ ერთი წელიც არ არის რაც ისინი რუსულს სწავლობენ და გაგიხარდებათ როგორ კარგად შეუთვისებიათ ენის საფუძვლები. ეს არა მარტო ნიჭის მაჩვენებელია, არამედ უდიდესი მუყაითობის — სასტუმროს ვესტიბულში, თუ კონგრესის სექციების სხდომის დროს თქვენ მათ ნახავდით გაშლილი წიგნით ან რვეულით. ბევრი მათგანი ახალ რუსულ გამოთქმას, სიტყვას იქვე ინიშნავდა რვეულში. საკმარისი იყო რომელიმე ჩვენთაგანი გამოჩენილიყო სასტუმროს ვესტიბულში, რომ გვერდით წამსვე გაჩნდებოდნენ ეს ახალგაზრდები — „კაკ ჟივიოტე? კაკ იდუტ დელა?“ — ასე იყო თხუთმეტი დღის განმავლობაში. ჩვენ მათ ძალიან შევეჩვიეთ — ძალიან გულისხმიერი მარია (მე „კუკის“ მიძახიან — გამოგვიცხადა მან. „კუკის“ აუარებელი მეგობრები ყავდა); ოდნავ სენტიმენტალური (ამ ასაკში ეს დასაშვებია) „სქელი“ მარტა; ჭკვიანი, ცნობისმოყვარე „თხელი“ მარტა; მორცხვი, დინჯი ნორმა („მომიყევით საქართველოს ისტორია“); ტანმორჩილი, ჩიკორივით ბიჭი ლუის ჰელ სოშერი (მას სულ ფიდელზე უნდა ილაპარაკოს. ამაში იგი გამონაკლისი არ არის); სანდომიანი ნატაშა (ის ძალიან ამაყობს, რომ რუსული სახელი ჰქვია); ბოლოს თავშეკავებული, შინაგანი იუმორით, სინატიფით სავსე თექვსმეტი წლის ლამაზი — სინიორიტა ლიანა ბოში („მე არ ვიცნობ კუბაზე მეორე ქალს, რომელსაც ლიანა ჰქვია“)... კიდევ ბევრი იყვნენ ეს გულისხმიერი და ცნობისმოყვარე ახალგაზრდები. მადლობა მათ, რომ ასეთი კარგები არიან! ეს მათ და მათმა ტოლებმა უნდა შეასრულონ ფიდელის სიტყვები: „ჩვენ მოვახდინეთ სოციალური რევოლუცია. მაგრამ არის რევოლუცია, რომელიც არასოდეს არ მთავრდება — ეს ტექნიკის რევოლუციაა“.

ეს ახალგაზრდები ძალიან ლამაზები არიან, რაც, მგონი, კუბელი ხალხის კიდევ ერთი ნაციონალური თვისებაა. მამაკაცებზე არაფერს ვიტყვი —მათზე ქალებმა წერონ, მაგრამ ქალები... როდესაც თვითმფრინავიდან ჩამოვედით, სხვებთან ერთად ჩვენ შემოგვეგება საშუალო სიმაღლის ქალიშვილი. სავსე, მაღალი ფეხები, კოხტა ტანი, ხორბლისფერი კანი, დიდრონი თაფლისფერი თვალები, — გრძელი წამწამებით გარშემორტყმული, თხელი წარბები, პატარა სწორი ცხვირი, თეთრი—თეთრი კბილები, მუქი წაბლისფერი ტალღისებური თმები, სანდომიანი ღიმილი — მგონი ასეთი იყო იგი (რა თქმა უნდა, პოეტი უკეთესად აღწერდა). ჩვენ გვეგონა მასპინძლებმა სიურპრიზი მოგვიმზადეს: ძვირფას სტუმრებს კუბის ერთ-ერთი საუკეთესო ლამაზი ასული დაგვახვედრეს. მაგრამ თურმე ნუ იტყვით — ნორმა (ასე ჰქვიოდა მას) „ტიპიური“ კუბელი ქალიშვილი ყოფილა. კუბელ ქალში თითქოს რაფინირებულია ამ კუნძულის ბუნების სილამაზე — უსაზღვროდ მუქი ლურჯი ცა, დარბაისლურად გაშლილი პეიზაჟები,—ხავერდის მწვანე გორაკები და წითელი კლდეები, ტანწერწეტა მოხდენილი სამეფო პალმები, მიუკარებელი კაქტუსები, ყვავილების ფერთა ზღაპრული სიუხვე, ცხელი—ცხელი მზე და მუქი, ღრმა მელნისფერი ზღვა. ლამაზი ქვეყანა ბევრია. უფრო ხშირად დაკვირვებით, გონებით უყურებ და ამბობ — ამ ქვეყნის ბუნება თავისებურია, განუმეორებელიაო. რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანა და მისი ხალხი თავისებურ ჰარმონიულ ურთიერთობაშია. ბრწყინვალე და დიდებულია — მგონი, ეს ორი სიტყვა სავსებით გადმოსცემს ამ ქვეყნის ბუნებას და ხალხს მთლიანობაში. ალბათ ამიტომ არის, რომ კუბაში ორიოდ წლის წინათ ნამყოფ ჩვენ მეგობარს არქიტექტორ თორნიკე ჩხეიძეს ამ ქვეყნის მოგონებაზე ახლაც შორისდებულები აღმოხდება: „ო—ო—ო, კუბა!..“

„ფინკა ვიჰია“.





ასეთ მილიციანოს არც პოსტზე ავიწყდება კოხ-
ტაობა.



„ჰაბანა-ლიბრე“ — აქ ჩვენ ვცხოვრობდით.




რამპა — ჰავანის უველაზე ლამაზი ქუჩა.



დღისით ჰავანის ქუჩაზე.

ვარადეროს პლაჟზე.



ჰაბანა-დელ-ესტეს ქალიშვილები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ მყუდრო ტერასაზე ისვენებდა მწერალი აუზ-
ში ცურაობის შემდეგ.



ეს რენეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბეჭედი წარწერით: წერილებზე არ ვპასუხობ. ჰემინგუეი. შეუძლებელი იყო
ერთ ადამიანს დაეკმაყოფილებინა აუარებელი ცნობისმოყვარე...



მისალები კაბინეტი. კედელზე — აფრიკაში ჰემინ-
გუეის მიერ მოკლული ლეოპარდის ტყავი.



**1946** წელს, ნადირობისას, ერთ მეგობარს თოფი, გაუვარდა იმ დროს, როდესაც ჰემინგუეი დაიხარა, რომ თასმა შეეკრა ფეხსაცმელზე. ტყვიამ ახლო გაუზუზუნა და თავზე თმები შეუტრუსა. ასე ხდება საინტერესო დიდი ადამიანის ფეხსაცმელებიც კი.

# თბილისელი რობინზონ კრუზო

ასეთი ქვეყანა არ შეიძლება არ გიყვარდეს. კუბელ ხალხსაც თავდავიწყებით უყვარს თავისი სამშობლო. მას სტუმრისაგანაც სურს გაიგოს: როგორ მოგეწონათ კუბა, ჰავანა? ამ კითხვებს არ ერიდებიან, უთუოდ იციან რა პასუხსაც მიიღებენ. მე არ მეგულება მეორე ერი, რომელიც ასე პირდაპირ აყენებდეს სტუმრის წინაშე ასეთ კითხვებს (ამბობენ — ქართველებს ახასიათებთ კიდევ ესო. შეიძლება)...

ამასთან იგრძნობა ღრმა ინტერესი, პატივისცემა და სიყვარული მეგობარ ქვეყნებისადმი. მათ ყველაფერი საბჭოური აინტერესებთ დაახარებთ — სამკერდე ნიშნები თუ წიგნები, ჩვენი მონაყოლი თუ საბჭოთა გემის დანახვა. მათ სჯერათ ჩვენი მეგობრობისა. როდესაც ქარიშხალმა „ფლორამ" დაიწყო მძვინვარება, ერთ-ერთმა კუბელმა ახალგაზრდამ დაჯერებით გვითხრა: „საბჭოთა კავშირი აუცილებლად დაგვეხმარება!" ეს რწმენა გამოცდილებით არის შთაგონებული და მას ფაქიზად გაფრთხილება უნდა. დიდ, კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ ჩვენი სპეციალისტები, რომლებიც ახალგაზრდა რესპუბლიკას ეხმარებიან ახალი ცხოვრების აშენებაში. სასიამოვნო იყო მათ შორის ჩვენ თანამემამულეებთან შეხვედრა. სუბტროპიკების სპეციალისტები — თბილისელები კუკური ბერიძე და თენგიზ გაბუნია (მას ხუმრობით რობინზონ კრუზოს უწოდებენ, ვინაიდან კუნძულ პინოსზე მუშაობს მეურნეობაში), შოთა ლლონტი მახარაძიდან, გეოლოგები, ინჟინრები და სხვა—აი, ახალგაზრდები რომლებმაც კუბელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს თავისი შრომით და ცოდნით.

კუბელ ხალხს არ ავიწყდება ლევან ქიქავას სახელი. ეს შესანიშნავი ახალგაზრდა საავტომობილო კატასტროფის მსხვერპლი გახდა. მის სახელს ორი სკოლა ატარებს — ერთი კამაგუეში და ერთიც ჰავანის გარეუბანში. ახლა კი მას ძეგლს უდგამენ. ჩვენ ვესაუბრეთ კუბელებს, რომლებმაც სიყვარულით მოიგონეს „მუდამ მხიარული და მუდამ დაუზარებელი ლევანი".

კუბაში შევხვდით კიდევ ერთ ჩვენ თანამემამულეს — კინორეჟისორს მიხეილ კალატოზიშვილს. მისი ჯგუფი იქ იღებს ორსერიან ფილმს „მე — კუბა", რომელიც ოთხი ნოველისაგან შედგება (სცენარი ევგენი ევტუშენკოსი). მასთან და კინოოპერატორ ურუსევსკისთან სამიოდ შეხვედრა მუდამ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. აი, ზის ბალიშს მიყრდნობილი მიხეილ კალატოზიშვილი ოლიმპიური სიმშვიდით, დიდრონი თვალებით, სახის სწორი დიდი ნაკვთებით. თითქოს მას არაფერი აღელვებს. სიტყვაძვირია, მაგრამ ეს გარეგნულად. თქვენ გრძნობთ დიდი მხატვრის შინაგან წვას და ძლიერ ნებისყოფას. ნათქვამი ყოველთვის ლაკონიური და ზუსტია. გარეგნულად მისი ანტიპოდია ურუსევსკი — მუდამ მოძრავი, პაწუა ცხვირით, ოდნავ მოჭუტული თვალებით სულ რაღაცას ეძებს, უვება თავდავიწყებით, გატაცებით... ორი რამ აერთიანებს მათ: კეთილი, თბილი ღიმილი (იგრძნობა გულის ანარეკლი!) და გატაცება ახალი ფილმით, კუბელი ხალხის სიყვარულით. გვიჩვენეს სამუშაო კადრები —ბრწყინვალეა! იგრძნობა კალატოზიშვილისათვის დამახასიათებელი სითბო და მონუმენტობა და ურუსევსკის დინამიური კადრი, რომელიც გმირის მოქმედებით არის გაპირობებული. მსახიობებად არც ერთი პროფესიონალი არ აუყვანიათ. მიუხედავად ამისა, რეჟისორიც და ოპერატორიც კმაყოფილი არიან— „ძალიან, ძალიან ნიჭიერი ხალხია!" — ერთხმად, სიყვარულით, კმაყოფილი ამბობენ ისინი...

კარგ ქვეყანას, კარგ ხალხს ბევრი მეგობრები ჰყავს. კუბას ჰყავდა ერთი დიდი მეგობარი, რომლის სახელს თქვენ აქ ყველგან შეხვდებით. ეს ადამიანი იყო ერნსტ ჰემინგუეი.

## „ფინკა ვიჰია" და ახალი კოშკი

ცოტა ხნის წინათ „ნედელიაში" წავიკითხე — ჰემინგუეის ახლო მეგობარი გენერალი ჩარლზ ლენჰემი იგონებს: „მოხუცს... არ შეეძლო ვინმესთვის მიემართა მისალმებით „ჰელო!" ისე, რომ ჟურნალისტებს ამ თემაზე უცბად სტატია არ დაეწერათ". მგონი ეს სრული ჭეშმარიტებაა — მისი სახლი „ფინკა ვიჰია" ვნახე ჰავანის მახლობლად მდებარე დაბაში, რომელსაც სან ფრანცისკო დე პაულა ეწოდება და არ შემიძლია არ გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები. თან თავი იმით მინდა გავიმართლო, რომ მე არც ჟურნალისტი ვარ და არც მოხუცის მისალმება „ჰელო" მსმენია არასოდეს.

სან ფრანცისკო დე პაულა კუბისათვის ჩვეულებრივი პროვინციული ქალაქია; ერთ ან ზოგჯერ ორსართულიანი ინდივიდუალური, პატარა სახლებით. ისინი გორაკებზეა შეფენილი. სახლების წინ, ქუჩის პირას პატარა ეზოები სუფთად, კოხტად გაწყობილი მწვანით.

ეზო ყველგან შემოუღობავია. ქუჩიდან საკმაოდ კარგად ჩანს ყოველი ოჯახის ყოფა. ყოფის ნაწილი კი — დასვენება, ბავშვების თამაში, ხშირად საუზმე, ჭორიკანობა—ქუჩის პირას ჩამწკრივებული სახლების წინ აივანზე ან ეზოში გამოტანილი (ჩვენი ვაკის ინდივიდუალური, მაღალი ქვიტკირის გალავნებით გარშემოვლებულ სახლების მეპატრონეებს ეს როდი მოეწონებოდათ!). აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველას შეუძლია ყველაფერი იცოდეს მეზობელზე და, მგონი, ამიტომ არამკითხე ცნობისმოყვარეებიც ნაკლებად მოიძებნებიან...

ჰემინგუეის საქვეყნოდ ცნობილი რეზიდენცია ერთსართულიანი-ქვის სახლია, რომელიც ქალაქის ყველაზე მაღალ გორაკზე დგას. იგი შელესილი, კლასიკური პროფილებით ძუნწად გაწყობილი და თეთრად შეღებილია. გარშემო მოზრდილი, შესანიშნავი პარკი არტყია — სახლი სულ მწვანეშია ჩაფლული. აქ სიმშვიდე, სიწყნარე სუფევს. ამ განწყობილებას ვერ არღვევენ მოფუსფუსე მუშები, — მიმდინარეობს სახლის ერთ-ერთი ფლიგელის შეკეთება.

ჰემინგუეის უკანასკნელმა ცოლმა მერიმ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, მოხუცის სიკვდილის შემდეგ წაიღო აქედან ხელთნაწერები და დოკუმენტები, ხოლო სახლი კუბის რევოლუციურ მთავრობას გადასცა. ახლა აქ მუზეუმია. ყველაფერი ისე ინახება, როგორც ჰემინგუეიმ დატოვა. ეს არ არის ძნელი: სახლს ახლაც ის უვლის, ვინც ჰემინგუეის ჰყავდა მოურავად. რენე — ასე ჰქვია ამ ჩასხმულ, ლამაზ მულატს. იგი პატარაობისას მიუყვანიათ ამ სახლში. აქ გაზრდილა, დავაჟკაცებულა. მას მოხუცი ძალზე ენდობოდა. ეტყობა ისიც ძალიან შეთვისებია აქაურობას. მე წარმოვიდგინე—ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ რენე, უკვე ხანში შესული, ისევ აქ იქნება და ისევ სიყვარულით, მოწიწებით მოუყვება მომსვლელებს „უცნაურ" ადამიანზე. მან კი ბევრი იცის. თითქმის ყველა ჩვენგანმა, აგრეთვე, ბევრი რამ უკვე „იცის" — მას უყვარდა სანთლების შუქზე ვახშმობა; წერდა ფეხზე მდგომი, ფეხშიშველი; ფანქრით უყვარდა წერა...

ოთახები ისეა განლაგებული, რომ ყოველი მათგანის კარი გამოდის უშუალოდ ღია ტერასაზე, რომელიც სახლს გარშემო უვლის. ასე, რომ ღია ფანჯრებიდან ყოველი ოთახის შიგთავსი ჩანს. რენე სახლში შედის. ჩვენ კი ფანჯრიდან ვუყურებთ და ვუსმენთ.

აი, სასადილო სამი ადამიანისათვის გაწყობილი სერვიზით. (რენე ჰყვება: „აქ თვითონ იჯდა; მის პირდაპირ ცოლი. აქ კი მეგობარი..."). მის თეფშზე საგვარეულო გერბია, რომელიც თვითონ შეთხზა თავისათვის —სამი მთის კონტური (ბავშვობის მოგონებები); მის ქვევით — ინდიელების გერბიდან ნასესხები ატრიბუტი (მისი ერთ-ერთი შორეული წინაპარი ინდიელი ყოფილა); კიდევ ქვევით — სამი პარალელური ხაზი (იგი ამერიკის არმიის კაპიტანი იყო). მაგიდაზე სპეციალური შუშის შუქფარების ქვეშ სანთლებია (სწორედ ისინი ჩვენ რომ „ვიცოდით"...).

აი, სამუშაო ოთახი (ეს კაბინეტი არ არის). აქვეა მისი ფართო საწოლი. სიღრმეში, მარჯვნივ კედელთან პატარა ხალიჩა, რომელზედაც ის ფეხშიშველი იდგა წერის დროს (ესეც „ვიცოდით"...). საწოლზე ჟურნალ-გაზეთებია მიმობნეული (რენე: „ის უფლებას არ გვაძლევდა აგველაგებინა მის მიერ დატოვებული გაშლილი წიგნები თუ გაზეთები").

რენე გვიჩვენებს ერთ-ერთ უკანასკნელ, შუა გვერდზე შეწყვეტილ ხელნაწერს. შემდეგ გვიჩვენებს წერილს, რომელიც მოხუცმა მას მოსწერა „ოთხი დღით ადრე, ვიდრე თავს მოიკლავდა" (რენეც და კუბაზე თითქმის ყველანი დარწმუნებული არიან, რომ ჰემინგუეიმ თავი მოიკლა). წერილში წერს, რომ „ფინკა ვიჰიაში" იგი ველარ ჩამოვა.

ყველა ოთახის კედლებზე ნანადირევი ცხოველების ფიტულები და ტყავებია: ანტილოპა („...აფრიკაში ნადირობის დროს პირველი პრემია მიიღო"), ჯეირანი („...მისმა პირველმა ცოლმა მოკლა"), ისევ ჯეირანი („...მეოთხე ცოლმა მოკლა"), მარტორქა („...ამის შესახებ ჰკითხეს: როგორ მოახერხე მისი მოკვლა? უპასუხა — მე რომ არ მომეკლა, იგი თვით მომკლავდა"); ლეოპარდი, ლომი...

რენემ იცის ყველა საგნის ადგილი და ისტორია. მისი მონაყოლი შეიძლება მოსაწყენი ყოფილიყო, რომ აქ ყველაფერი ასე ნამდვილი არ იყოს. ერთხელ პიატიგორსკში ლერმონტოვის სახლ-მუზეუმს ვათვალიერებდით. გიდი ზედმეტი პათეტიკით ჰყვებოდა — ამ სკამზე შეიძლება ლერმონტოვი იჯდა... ამ მაგიდასთან შეიძლება მან უკანასკნელი საღამო გაატარა... რატომ „შეიძლება"? აღმოჩნდა, რომ ამ საგნებს ლერმონტოვთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ— ისინი სხვადასხვა ოჯახებიდან იყო მოგროვილი. ამიტომ მათი ნახვა არც გულს ხვდება და არც სულს რგებს. ილიას სახლ-მუზეუმში საგურამოში რას ათვალიერებს მოსული ინტერესით? — კაკლის ხეს, წყაროს, ილიას პირად საგნებს... შეღებილი სურათების ან ფოტოების გალერეას და, განსაკუთრებით, ე. წ. სამგლოვიარო ოთახს კი გულგრილად შესცქერის და გიდის ხათრით ჩერდება. ამიტომ იყო, რომ ერთმა უცხოელმა მორიდებით მითხრა საგურამოში: „ძალიან დიდი ადამიანი ყოფილა. ძალიან საინტერესო მასალაა შეგროვილი. მაგრამ, ალბათ, ექსპოზიცია ძველი გაკეთებულია და გადაკეთებას აპირებთ, არა?" მე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე.

ნივთების თუ საგნების გაფეტიშება არაა სწორი, მაგრამ, მგონი, სწორია, რომ ნივთი, საგანი, რომელიც დიდ ადამიანს ეკუთვნოდა, თუ იგი თავის ადგილზე დევს, — ადამიანში იწვევს მოწიწებას და ინტერესს. ეს ბუნებრივი რეაქციაა. მათი საშუალებით ბევრი რამ მოღვაწის, მწერლის შემოქმედებაში და მოქმედებაში გასაგები ხდება; ბევრი კი უცნაური და საინტერესო.

სახლის დასავლეთით, ათიოდ ნაბიჯის მოშორებით კოშკივით ოთხსართულიანი ნაგებობაა წამოჭიმული. იგი გეგმაში კვადრატული ფორმისაა. თითო სართულში თითო ოთახია. როდესაც ადიხარ ღია, რკინის მიდგმულ კიბეზე, შემინულ კარებებიდან და ფანჯრებიდან ავეჯით გაწყობილი ოთახები ჩანს. ოთახები უსიცოცხლოა — იგრძნობა აქ არავის უცხოვრია. ეს „კოშკი" სპეციალურად აუგიათ, რათა აქ ჰემინგუეის ემუშავა. მოხუცი ერთხელ შესულა შიგ და მეტი აღარ დაბრუნებულა. ერთ-ერთ ოთახში თანამედროვე ყაიდის საწერი მაგიდაა წვრილი ფეხებით. ძნელი წარმოსადგენია ჰემინგუეი მიჯდომოდა ამ მაგიდას (ისე, როგორც წარმოუდგენელია არწივი ქათმის ქანდარაზე). ამიტომ „კოშკში" მისი საყვარელი კატები ბინადრობდნენ...

წინდაწინ ბოდიშს ვიხდი — უნდა ვახსენო სათავსო, რომელსაც არქიტექტორები სველ წერტილს ვუწოდებთ. აქ, როგორც ყველა სათავსოში (გარდა სასადილოსა!) წიგნების თაროებია — დაბალი და შედარებით პატარა. თაროებზე თხელი წიგნები და ჟურნალ-გაზეთებია. ის, რისთვისაც ჩვენ პატარებს ვტუქსავთ, ჰემინგუეისათვის დასაშვები ყოფილა. ასე მიხვდები აქ, თუ როგორ განსხვავდება ჩვეულებრივი მომაკვდავისა და დიდი ადამიანის ჩვევები და ბედი...

„ჩემი დღის წესრიგი — წერა და კითხვაა..." უყვარდა მას თქმა. თუ ამას დავუმატებთ ნადირობას (რა თქმა უნდა, არა „ფინკა ვიჰიაში"), მაშინ ეს ბაღი, სახლი, იქ დატოვებული საგნები და ნივთები, დიდებული ხედი ჩრდილოეთისაკენ, სადაც ჰავანის სილუეტი და ზღვა ჩანს, — შესანიშნავად ავსებს და მოიცავს წარმოდგენას ერნსტ ჰემინგუეიზე. და თუ მისი ჩვევები ჩვენ ზოგჯერ უჩვეულოდ, მაგრამ მაინც მიმზიდველი გვეჩვენებოდა, ეს იმიტომ, რომ ის ერნსტ ჰემინგუეი იყო — დიდი მოღვაწე, მწერალი და ყოველთვის ადამიანი.

(გაგრძელება იქნება)



ახლა აქ სტუდენტები ცხოვრობენ.

# ჭაცუნიას ჭალები

ოთარ დემეტრაშვილი

ნამდვილი ამბავი

მხატვარი თ. სამსონაძე



## პირველი დღე

პროკურორის თანაშემწე ივანე ქრისტესიაშვილი რამდენიმე წამით შეყოვნდა გამოღებულ კართან. თაფლისფერი, მუდამ მოუსვენრად მოძრავი თვალები სწრაფად მიმოავლო ოთახს.

კაბინეტი პატარა იყო. სარკმლის გვერდით საქმის ქაღალდებით გატენილი მომცრო კარადა მიბჯენოდა კედელს. შესასვლელის აქეთ, მარცხენა მხარეს, თუნუქის ღუმელი და ორი ვენური სკამი იდგა. მოპირდაპირე კუთხეში კი მაღალ, ძველებურ სეიფზე პირმოტეხილი თეფში დაედო ვილაცას და ზედ ყვავილის ცარიელი ქოთანი შემოედგა.

სამუშაო მაგიდის ზემოთ, ახლად შეღებილ კედელზე, ოდნავ ცერად დაეკიდათ რომელიღაც მხატვრის ზეთის საღებავებით შესრულებული პეიზაჟი...

„იწყება პირველი სამუშაო დღე!“ — გაიფიქრა კაბინეტში შესულმა ქრისტესიაშვილმა და იღლიებში ამოჩრილი ქაღალდები ფრთხილად დაალაგა მაგიდაზე.

მაღალ-მაღალი, მკვრივად ჩადგმული პროკურორის თანაშემწე ერთ ხანს მოკლე, მოზომილი ნაბიჯით დადიოდა ოთახში. მერე შეჩერდა, რცხილის წვრილად დაჩეხილი ნაჭრები შეუმატა განელებულ ღუმელს, თითის აკვრით შეასწორა კედელზე ცერად დაკიდებული სურათი და სამუშაო მაგიდას მიუჯდა.

კაბინეტის ვიწრო სარკმელში ზამთრის საავდროდ მოქრუშული ზეცა იყურებოდა. შორს, კუდიგორის მხრიდან დროდადრო სტვენით მოვარდებოდა ქარი და მძიმე-მძიმედ არწევდა გზის გაყოლებით ჩარიგებულ ხეებს.

მაუდგადაკრულ მაგიდასთან ბეჭებში წახრილი იჯდა ყვარლის რაიონის პროკურორის თანაშემწე. გულდასმით ეცნობოდა მწვანე ფერის ყდებში ჩალაგებულ საქმეებს, რომლებიც ის-ის იყო ჩაიბარა პროკურორის კაბინეტში.

* * *

ამ რამდენიმე გაცრეცილმა ფურცელმა თავიდანვე ჩააფიქრა ივანე.

ეს იყო საქმე საიდუმლოებით მოცული, შემაზრზენი მკვლელობის შესახებ, რომელიც ხუთი თვეა ელოდებოდა ჭეშმარიტების დადგენას.

გამოძიების მასალებიდან ნათლად ჩანდა, რომ სოფელ ნაბუეში მომხდარი მკვლელობა გამოცდილი დამნაშავის ფრთხილი, წინასწარ გულდასმით მოფიქრებული გეგმის მიხედვით იყო განხორციელებული.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მისულმა პროკურატურის მუშაკებმა დამნაშავის მამხილებელ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. ერთადერთი ნივთიერი საბუთი, რასაც ნაწილობრივ მაინც შეეძლო ნათელი ჰფენოდა ამ სიბნელით მოცულ საქმეზე, ეს იყო მოკლულის გვამიდან ამოღებული ტყვიის რამდენიმე ნაგლეჯი.

საქმე № 12484-ში იდო კრიმინალისტური ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც ადასტურებდა, რომ ლითონის ეს პატარა, დეფორმირებული ნაგლეჯები კუსტარული წესით შინ დამზადებული ჯამეული ტყვიის ნარჩენები იყო.

საბუეში მომხდარი დანაშაულის გახსნელად რამდენიმე თვე გრძელდებოდა გულმოდგინე გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ დროულად იქნა მიღებული ყოველგვარი ზომები, დამატებითი მასალების მოძიება შეუძლებელი გახდა. საქმე № 12484 უიმედოდ მიიჩნიეს და ძიებაც დროებით შეაჩერეს.

შესვენების დრო ახლოვდებოდა, როცა პროკურორის თანაშემწემ უკანასკნელი გვერდის კითხვა დაამთავრა და მოღლილი თვალებით გახედა ახმაურებულ ქუჩას.

ბარაქიანად ბარდნიდა. თოვლის დიდრონი, ხოხოშელა ფანტელები თითქოს ცაცა-თამაშით ედებოდნენ ქვიტკირის სახლების სახურავებს, დაცარიელებულ ეზოებს, ერთმანეთში ჩახლართულ მარაგზებსა და ორღობეებს...

ამ პატარა დაბაში გუშინ ჩამოვიდა ივანე. ზამთრის მოკლე, უღიმღამო დღე რაიონის ხელმძღვანელებთან გაცნობას, პროკურორთან თათბირს, და დაბინავების თადარიგს მოანდომა. ისე შეუმჩნევლად წამოეპარა სუსხიანი ბინდი, რომ ხეირიანად ვერც ყვარლის დათვალიერება მოასწრო და ვერც რამდენიმე ძველი მეგობრის მონახულება მოახერხა.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ ახლა ახეთ უჩვეულო სიმარტოვეს გრძნობდა ივანე, რაღაც უცხო და შორეული ეჩვენებოდა ეს კუთხე.

ფეხზე წამომდგარი პროკურორის თანაშემწე ერთ ხანს ისევ მოკლე, მოზომილი ნაბიჯით დადიოდა კაბინეტში, მერე ფარდებგადაწეულ სარკმელთან შეჩერდა.

ჩაფიქრებული გასცქეროდა ივანე გზის გადაღმა თოვლში ცივილ-ხივილით მოხტუნავე ბავშვებს და თან საბუეში მომხდარი მკვლელობის ამბავი უტრიალებდა გონებაში.

პროკურორის თანაშემწემ კარგად იცოდა, რომ ხელახლა დაწყებული საქმე დიდ დროსა და დაძაბულ შრომას მოითხოვდა. საჭირო იყო მრავალი მოწმის ხელმეორედ გამოძახება და დაკითხვა, ყოველი წვრილმანის ახჯერ და ათასჯერ გულდასმით შესწავლა და გაანალიზება.

— დღესვე უნდა დავიწყო ამ საქმეზე მუშაობა!...

— მტკიცე გადაწყვეტილებით შემობრუნდა ივანე სამუშაო მაგიდისაკენ, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და სწრაფად აკრიფა ნომრები.

ვიღაც ვინმე შეეხმიანებოდა, პროკურორის თანაშემწემ ანაზდად მაგიდის კალენდარს შეავლო თვალი.

1968 წელი, 7 თებერვალი, ხუთშაბათი. — იუწყებოდა კალენდრის ფურცელი.

## დიდშარების თავშესაყართან

ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა.

სოფელს უკვე ეძინა. კუნაპეტ სიბნელეში მხოლოდ აქა-იქ ელავდნენ ოჯახებში დანთებული ელნათურები.

ბუზიაანთ უბანში გამეფებულ მყუდროებას მოულოდნელად დაარღვია ხრეშმოყრილ შარაზე მიმავალი ბიჭების ფეხის ხმამ.

წინ დაბალ-დაბალი, ბეჭებში წახრილი თეიმურაზ სისაური მიდიოდა. ორივე ხელი საყელოაწეული პიჯაკის ჯიბეებში ჩაეწყო და გაუთავებლად ღიღინებდა რომელიღაც ძველებურ მელოდიას.

ნოდარ ბერიაშვილი ფეხდაფეხ მისდევდა მეგობარს. იგნის მოკლე, გახსეპილი სახრე ეჭირა ხელში და თითქოს უხილავ ბოროტ სულებს იგერიებსო, მალ-მალე შხუილით იქნევდა ჰაერში.

ბიჭებმა უსიტყვოდ გაიარეს ბუზიაანთ უბანი, ძეძვითა და ქვა-ღორღით მოფენილი თავქვე ჩაიარეს და სოფლის ბოლოსკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

— მტოვებ, არა? — მეგობრისათვის არც კი შეუხედავს ისე ჩაილაპარაკა თეიმურაზმა და მაშინვე დაუმატა, — მაშ მიდიხარ რაღა ქალაქში?!

— მივდივარ, თემურ, მივდივარ, — ფიქრიანად გაეპასუხა ნოდარი, — ჩავალ თბილისში, მისაღებ გამოცდებზე დავდგები, იქნებ სალამოს დასწრებულზე მაინც მიმიღონ.

ორთავე მხარეს მაყვლიანით დაბურულ გზაზე ერთ ხანს ისევ უსიტყვოდ მიაბიჯებდნენ ბიჭები. ბოლოს თეიმურაზმა დაარღვია მყუდროება:

— ჩახვალ ქალაქში, წლაპაანთ შაქრიას ბიჭივით ალბათ შენც კოჭებამდე ვიწრო შარვალს ჩაიცვამ და ფეთიანივით დაერევი იჭაურ წიწკვებს...

— დავერევი, მაშა! — გულიანად ხარხარებდა ხუმრობის ხასიათზე მოსული ნოდარი, — დავერევი და ერთ შავთვალწარბა, შოთიველ გოგოსაც შევიგულებ.

— მერე... მერე რას იზამ?

—რასა? რასა და ათასკაციან საქორწილო სუფრას გავშლი კაკლიანში... ოჯახს მოვეკიდები, ბიჭო, ოჯახსა... ახალ სახლსა და ეზო-ყურეს გავმართავ...

— მერე?

— მერე ბალღებს დავაჩენთ და წამოვაჩიტებთ... მტერსა და მოყვარეს მტრულად და მოყვრულად დავხვდებით.

— მერე, ბიჭო?

— მერე და მერე!...

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა თეიმურაზი, მაგრამ ნოდარმა მკლავზე შეავლო დაკოჟრილი ხელი და ღიმილით გადაულაპარაკა:

— მოვსულვართ და ეს არის!... ერთი შეხედე, ი დალოცვილი კაკალი როგორ ყარაულივით დგას ჩემი ვენახის თავში.

* * *

ბერიაშვილიანთ ვენახში გულამა გაშოტილი თეიმურაზი ფიჩხის ლაწუნმა გამოარკვია ფიქრებიდან.

ცოტა ხნის შემდეგ ლობის გადაღმა ისევ გაილაწუნა ფიჩხმა და გზაზე სწრაფი ნაბიჯით ჩაიარა ვიღაც მაღალმა, შაოსანმა კაცმა.

— ნეტა რომელი იყო? — მოულოდნელად შემოესმა თეიმურაზს წყნარი, ხავერდოვანი ხმა და ახლაღა შენიშნა, რომ ვენახის სიღრმიდან გამობრუნებული ნოდარი წამოსდგომოდა თავზე.

— წავიდეთ, თემურ, ნულარ დავაგვიანებთ, გაღმა ვენახშიაც უნდა მოვასწროთ ახლა...

— გაღმა ვენახში რაღა ჯანდაბა გავაკეთოთ? — უკმაყოფილო თვალით ახედა თეიმურაზმა მეგობარს.

— რა ჯანდაბაც აქ გვინდოდა, ის დოზანა გავაკეთოთ იქაც! ....

ცოტა ხანს შეჩერდა ნოდარი, ხელში შერჩენილი მტევნის რამდენიმე მარცვალი უგულოდ გაკაკნა და ნაწყენი ხმით დაუმატა:

— რა თავს მამადლი, ბიჭო... ყურძენმა დამწიფება დაიწყო, ხელმრუდე კაცი კი ყოველთვის გამოჩნდება სოფელში... გავიდეთ გაღმა, იქაურობას დავხედავ და მერე თუ გინდა სულ ცაცა-თამაშით ვიაროთ შენ სახლამდე...

ადრეული შემოდგომის წყნარი, ოდნავ სუსხიანი ღამე იდგა. უმთვარო ცაზე ყოველი მხრიდან წამოშლილიყვნენ ნაწვიმრად გაზიდებული ღრუბლები.

ვენახიდან გამოსულმა ბიჭებმა არხში რაკრაკით მომავალ რუს ფრთხილად აუქციეს გვერდი და გაღმა ზვრებისაკენ ხალვათად წასულ ორღობეში გაიბიჯეს.

საუბარში გართული მეგობრები ის-ის იყო პატარა, ხელისგულივით დაცემულ მინდორზე უნდა გასულიყვნენ, რომ ეკალ-ბარდებით დაბურულ ლობესთან მოულოდნელად წამოიმართა ადამიანის ფიგურა.

დიდშარების თავშესაყართან მოჩვენებასავით ჩამოდგა მაღალ-მაღალი, შაოსანი კაცი, რომელსაც ქუდი წარბებამდე ჩამოეფხატა. მხრებზე ლაბადაწამოსხმულს ხელში მოკლე, ლულებგადაჭრილი სანადირო თოფი ეჭირა და ბეჭებში წახრილი გასცქეროდა ბიჭებს.

სოფელი უკან, ასიოდე მეტრის დაშორებით მთავრდებოდა. კარჭაულებისა და ხატიაშვილების სამოსახლოს აქეთ მხოლოდ ხეხილით დაბურული ბაღები, ზვრები და ტრიალი მინდვრები მოსდევდა ერთმანეთს.

უკაცრიელ ადგილზე ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ სახტად დარჩენილი ბიჭები და სიბნელეში ნაჩვევი თვალით შესცქეროდნენ უცნობს, რომელიც ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით უახლოვდებოდა მათ.

ბეჭებში წახრილი დამხვდური მეგობრებისაგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა, ხელში ჩაბღუჯული თოფი თეიმურაზ სისაურს მიაშვირა და ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა:

— გვერდზე მიდექი, ბიჭო, შენს ძმაკაცს ცალკე მინდა მოველაპარაკო!..

ნელ-ნელა გაიმართა წელში უცნობი, დამფრთხალი თვალი მიმოავლო გარემოს და მერე მეტი ძალა და რიხი შეუმატა ხმას:

— შენ გეუბნები, ძაღლის შვილო, ცოტა განზე ჩამოდექი-მეთქი!

რამდენიმე წამი უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს გზაზე მარტოდ დარჩენილი ნოდარი და თოფმომარჯვებული უცნობი. ბოლოს ლაბადიანმა ახმახმა თვალი აარიდა ახალგაზრდა კაცის დაჟინებულ მზერას და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, ისე ჩუმი, ოდნავ გასაგონი ხმით ჩაიდუდუნა:

— რა სახეში შემომცქერი... ვერა ხედავ, რომ დღეს პირველად ვხვდებით ერთმანეთს...

ნოდარი შეტოკდა. ის-ის იყო რაღაცის თქმა დააპირა, რომ მაშინვე შეაჩერა უცნობის გესლით სავსე მბრძანებლურმა ხმამ:

— უკან მიბრუნდი, უკან!... გესმის, შეტრიალდი-მეთქი!..

— ვინა ხარ, კაცო? — როგორც იქნა აიდგა ენა გაოგნებულმა ნოდარმა და თოფის ჩაშავებულ ლულებს გაუსწორა თვალი, — ამ შუაღამისას დაბარებულივით დამხვედრიხარ გზაზე და არც კარგი ვინდა მოისმინო და არც ავის გაგონება გწადია...

— მიტრიალდი-მეთქი!

— იქნებ გეშლება ვინმეში, კაცო... გესმის, იქნებ ვინმეში გეშლება-მეთქი. ოცდახუთი წელია ამ ნათელ ქვეყანაზე დავდივარ და ბალღი რა არის, ჭერ ბაღლისთვისაც არა მიწყენინებია რა...

— მიბრუნდი, თორემ გესვრი!..

— ღმერთი არ გაგიწყრეს, ბიჭო... ცუდუბრალოდ არ ამიტირო მშობლები... გაიგე, კაცო... მომისმინე-მეთქი, ბიჭო!..

უცნობი ჩქარობდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, გულფიცხი კაცის სწრაფი, ოდნავ დაბორკილი ენით ლაპარაკობდა:

— მიტრიალდი უკან, ათი ნაბიჯი გადათვალე და კარგისა და ავისა მერე ვილაპარაკოთ..., გატრიალდი, თორემ სადაცაა გაგათავე!

შაოსანის ხმაში დაგუბებული რისხვა, ნერვიული, მოთმინებიდან გამოსული კაცის შეძახილები ამჟღავნებდა, რომ ამ წუთში მას მართლაც შეეძლო დაუფიქრებლად გაესროლა თოფი.

ნოდარი შეტოკდა. უმწეო თვალით გახედა ათიოდე ნაბიჯზე კაკლის ხესთან ატუზულ თეიმურაზს და ნელ-ნელა შემობრუნდა სოფლისაკენ.

ეს იყო მძიმე, საშინელების მოლოდინით აღსავსე წამები, რომლებსაც დაუყოვნებლივ შეიძლება მოჰყოლოდა ზურგში მუხთალი სროლა.

პირველ გაუბედავ ნაბიჯს მეორე და მესამე ნაბიჯი მოჰყვა... მეოთხე ნაბიჯს ადგამდა ნოდარი, როცა უცნობმა სწრაფად შემართა მიწისაკენ დახრილი თოფი და გზაზე ტაატით მიმავალ ნოდარს დაუმიზნა.

„ესვრის, ახლა კი ესვრის ეს დაწყევლილი!“— ელვასავით გაუარა გონებაში თეიმურაზს და აკანკალებულმა სიმწარით შემოხვია ხელები კაკლის ხეს.

...კაბინეტში ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა.

ფიქრებიდან გამორკვეულმა ქრისტესიაშვილმა ზანტად წამოავლო ხელი ყურმილს.

პროკურორის თანაშემწეს ყვარლის რაიმილიციის განყოფილების შილდის უბნის რწმუნებული ვლადიმერ შაქარაშვილი ურეკავდა.

— დავალება შესრულებულია! — გაისმა ხალისიანი, უკვე კარგად ნაცნობი ხმა ყურმილში, — კარჭაულთან, თუქაძესთან და გიგილაშვილთან ვიყავი... ხათითაოდ გავაფრთხილე ყველანი.

— ხატიაშვილი?.. ირინე ხატიაშვილი თუ დაბრუნდა სოფელში?

— ხატიაშვილები რაღაც სახყიდლებზე ყოფილან ქალაქში წასული. როგორც გავიგე, შინ კვირა დილით აპირებენ ამობრუნებასო...

— სისაურის საქმე როგორღაა?

— თეიმურაზ სისაურთანაც ვიყავი, პირადად გავაფრთხილე, რომ დაუკითხავად არსაით გავიდეს სოფლიდან...

— კეთილი და პატიოსანი! — გაიფიქრა კმაყოფილმა ქრისტესიაშვილმა და უბნის რწმუნებულს ხმამაღლა ჩასძახა ყურმილში, — ადგილზე დამხვდით, ხვალე დილით ამოვალ საბუეში!..

პროკურორის თანაშემწემ ყურმილი დადო, მაგიდაზე ჩამოლეწებულ ხელებში ჩამალა სახე და თვალებდახუჭული შეეცადა ნათლად აღედგინა ტელეფონის ზარის წკრიალით გონებაში შეწყვეტილი მკვლელობის სურათი.

გულმოდგინედ შესწავლილი საქმის ყოველი დეტალი მალე ისევ კრიალოსნის მარცვლებივით აება ერთმანეთს და ქრისტესიაშვილის თვალწინ თითქოს კინოკადრებივით გაიელვა დიდშარების თავშესაყართან დატრიალებულმა ტრაგედიამ.

...კაკლის ხესთან ატუზული თეიმურაზი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ლაბადაწამოსხმული კაცის თვითეულ მოძრაობას.

უცნობი სწრაფად წაიხარა წელში, მიწისკენ დახრილი თოფი მოიმარჯვა და გზაზე ტაატით მიმავალ ნოდარს დაუმიზნა.

„ესვრის, ახლა კი ესვრის ეს დაწყევლილი!“ გაიფიქრა შეშფოთებულმა თეიმურაზმა და იმავე წამს ცეცხლის მოკლე, დაფლეთილმა ენამ გაიელვა სიბნელეში; მიძინებულ სოფელს თოფის გამაყრუებელმა ხმამ გადაუარა.

ნოდარი შეჩერდა. რამდენიმე წამი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე. მერე თითქოს უკან შემოტრიალებას აპირებსო, ოდნავ შეუტოკდა მხრები; ფეხებმოკვეთილმა ჰაერში გაასავსავა ხელები და გზის პირას მოდებულ ბალახზე მოწყვეტით ჩაიკეცა.

* * *

ნოდარ ბერიაშვილი გონებადაკარგული მიიყვანეს საავადმყოფოში.

მძიმედ დაჭრილ ახალგაზრდას დროდადრო ცნობიერება უბრუნდებოდა, მაგრამ ექიმები პროკურატურის მუშაკებს კატეგორიულად უკრძალავდნენ დაზარალებულთან მისვლას და რაიმე შეკითხვის მიცემას.

სიცოცხლის გადასარჩენად გამართული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა: ნოდარ ბერიაშვილი მესამე დღეს გარდაიცვალა სასიკვდილოდ მიყენებული ჭრილობისაგან.

„ცეცხლმსროლელი იარაღით ხერხემლის, გულმკერდის პირველი, მეორე, მესამე მალების მრავლობითი მოტეხილობა და ზურგის ტვინის მთლიანობის დარღვევა“. — ასეთი იყო სასამართლო ექსპერტიზის მიერ დასმული დიაგნოზი, რომელიც ნოდარ ბერიაშვილის სიკვდილის მიზეზს ხსნიდა.

საოპერაციო მაგიდაზე ესვენა ოცდახუთი წლის ბრგე, გრუზათმიანი ვაჟკაცი, რომელიც არავინ იცოდა, რატომ გამოასალმეს სიცოცხლეს.

იქვე, დოლბანდგადაფარებულ კარადაზე საოპერაციო ხელსაწყოების გვერდით იდო გარდაცვლილის გვამიდან ამოღებული ტყვიის რამდენიმე ნარჩენი. ლითონის ეს პატარა, დეფორმირებული ნაგლეჯები პროკურატურის მუშაკებისათვის უნდა გადაეცათ კრიმინალისტური ექსპერტიზისათვის წარსადგენად.

## ყველა გზა ხატიაშვილთან მიდის

კვირა დღე იყო.

სუსხიანი ამინდების შემდეგ, როგორც იქნა, თბილი დღე გამოერია. ხელჯოხიანი ბერი პაპები ეზო-ეზო გამოშლილიყვნენ და ცაზე მოჭიატე ზამთრის მიმქრალ მზეს ეფიცხებოდნენ.

სოფლის კოოპერატივთან გლეხებს მოეყარათ თავი. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ერთმანეთთან საუბარს დანატრებული სოფლელები და დინჯად, სიტყვის დაგრძელებით ჰყვებოდნენ ამ მთისა და იმ მთის ამბებს.

ბუზიაანთ უბნელ ბიჭებს ერთმანეთზე დახვავებულ ყუთებთან დაბალ-დაბალი, თმაგადახოტრილი კნაჭა აბრია დაემარტოხელებინათ. ნახევარწრედ მოსდგომოდნენ გარშემო და ღიმილით უგდებდნენ ყურს ეშხში შესული მოსაუბრის ენაწყლიანობას.

— რაღა მეტი გაგიგრძელოთ სიტყვა, — ყვებოდა ენად გაკრეფილი აბრია და თან მოუსვენრად აფეთებდა გადმოკაკლულ თვალებს, — დამჯდარა თურმე ის კუპრის ნათელდასადგომი მიტრუა არყის სახდელ ქვაბთან, ლაფანზე წანწკარით მომავალი თავიარყისთვის ჯამ-ჯამფილა მიუმარჯვებია და უკან დაუდვია მრგვალად მოხარშული ჭედილა...

— უკან რათა, აბრი?

— იმათა, რომ თვალი მშვიდად ჰქონებოდა... ამდენი ხორცის დანახვაზე შიში აღარ ჩასდგომოდა გულში...

— განაგრძე, კნაჭავ!..

— გაიშვერდა თურმე ხელს ის მამაძაღლებულის შვილი და ნაჭერ-ნაჭერ აქნილ ხორცს დაითრევდა უკანიდან. წამდაუმალ ჩაასალებდა ამოუყორავ სტომაქში და ზედ მისცხობდა და მისცხობდა არაყსა... გაიშვერდა ისევ მამალი დათვივით დაბანჯგვლულ ტორს და უკანიდან ახლა კინჭუტივით ბეჭის ნაჭერს დაითრევდა თურმე... ჩაასალებდა იმასაც და ისევ ხუხავდა და ხუხავდა თეთრს...

— მერე, კნაჭავ?

— მერე ისა, რომ უკანასკნელად გაუშვერია ხელი და უკან ხორცის ნაჭერი აღარ დარჩენილა... რახან სანაძლეოა, ბარემ სანაძლეო იყოსო, დაქადნებით უთქვამს და დაფეთებულს ხელმეორედ დაუწყია გამოღრღნილი ძვლების ღრღნა...

— რას ამბობ, აბრი? მთელი ჭედილა შეუჭამია?

— ტყუილი იქნება!...

— ტყუილი რათა, ანდე, ვანას გერსა ჰკითხეთ, ისიც იქა ყოფილა თურმე...

სოფლის კოოპერატივთან ჯერ ისევ გაისმოდა ბიჭების სიცილ-ხორხოცი და ალტაცების შეძახილები, რომ მოულოდნელად ვიღაცამ გაოცებული ხმით დაიძახა:

— ძაღლი ახსენე, სწორედ ამას ჰქვია... ერთი გახედეთ, ხალხო, ვანას ბიჭი ტოლიკა არ წამოგვდგომია თავზე!..

გზაზე ქერათმიანი, კოხტად გამოწყობილი ახალგაზრდა მოაბიჯებდა. არეულ ფეხზე ეტყობოდა, რომ კარგა გვარიანად უნდა ყოფილიყო შეზარხოშებული.

— გაბრუნდებულხარ, ტოლიკ, გაბრუნდებულხარ!

— საითა წვიმდა, ბიჭო?..

— საითა წვიმდა და ქორფა ბაბოს სათონეში, — შორიდანვე დამნაშავე კაცის ღიმილით მიესალმა ტოლიკა შეკრებილებს, — ცოტა მეტი მომივიდა ეს დალოცვილი ღვინო, ლამის არის შუბლი გამიხეთქოს ტკივილმა...

— კიპაჭოს შემოგატყუებდნენ, ბიჭო, კიპაჭოსა..., თავის ტკივილი გაკეთებულმა ნუნუამ იცის!

— კიპაჭო რა მოსატანია! სულ თავანკარა, საკაიდღეოდ შემონახული ალალი ღვინო გვასვა ქორფა ბაბომ...

ტოლიკამ გადააპურჭყა. გზის მეორე მხარეს გაიხმო შავთვალწარბა, ჭმუხი ახალგაზრდა და თითქოს დიდ საიდუმლოს უმჟღავნებსო, ჩურჩულით გაანდო ყურში:

— სოფლიდან ვაპირებ წასვლას, ზურაბ... ერთ-ორ კვირაში უნდა ავიკრა ჩემი გუდა-ნაბადი და ჰაიდა!

— მაინც საით მიდიხარ, ბიჭო? — თავით-ფეხებამდე აზომ-დაზომა ზურაბმა გზაზე ულაზათოდ გალაჯული ტოლიკა.

— წავალ, ქვეყანა დიდია! აქეთ მივდგები, იქით მოვდგები, იქნებ საქმეს რასმე მოვეკიდო.

ტოლიკა შეჩერდა, პირში შეჩრილი პაპიროსი ხამუშ-ხამუშ გააბოლა და მერე მოთაფლული ხმით წამოიწყო:

— შენი მოყვარე თურმე „მოსკვიჩის“ გაყიდვას აპირებს... ბარემ სიკეთე მიყავი, ბიჭო, წამო, ამომყევი შილდაში და იქნებ მოგვარიგო კიდეც...

— ღვთის წყალობა ჩამოგექცა თავზე თუ ისევ ცოტა აფრაკათა ხარ? — ეჭვის თვალით გადახედა ზურაბმა უეცრად გაწითლებულ მოსაუბრეს, — შენი წუთისოფელი შარა-შარა პაპიროსის ფულს დაეძებ და ახლა მანქანის ყიდვა საიდანღა მოიგუნებე?..

— ეეე, გამიბა რაღა ამანაც მოკლე კატოს მონაყოლი არაკები! — ხელის ჩაქნევით ჩაიბუზღუნა განაწყენებულმა ტოლიკამ, — ძროხა და არაყი გავყიდეთ, ბიჭო, კაპიკს კაპიკი დავადევით და აი იქიდან მოვიგუნებეთ... გაიგე ახლა?..

მანქანის გაბმულმა საყვირმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა ტოლიკას. ყვითელი ფერის მოძველებულმა „მოსკვიჩმა“ გვერდი აუქცია გზის ნაპირზე მოსაუბრე ბიჭებს, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ გლეხებში გაიკვლია გზა და მაღაზიის შესასვლელთან შეჩერდა.

— ეს მანქანა მგონი ჩვენი პროკურორისა უნდა იყოს! — ხველებ-ხველებით ამოღერღა ყალიონის ახრჩოლებული კვამლით დაფარულმა პაპა ქიტესამ.

— პროკურორისა კი არა, იმისი მოადგილისაა!

— შენ საიდან იცი ასე წვრილ-წვრილად მაგისი გზები და ავანჩავანი?

— რატომაც არ ვიცი, — წელში გაიმართა ფარაჯიანი გლეხი, — შარშან, როცა ლაგოდეხში ვმუშაობდი, ეგეც იქა მუშაობდა გამომძიებლად... ჯეელი ბიჭია, მაგრამ ისეთი საქმეები დახსნა თურმე, ისე საათივითააწყო მუშაობა, რომ აკი დაუწინაურებიათ კიდეც... ყვარელში მითხრეს, ჩვენსა გადმოიყვანეს სამუშაოდაო...

— იმ ბედდამწვარი ბიჭის საქმეზე თუ იქნება ამოსული! — ისევ ხველებ-ხველებით ამოაბრუნა სიტყვა პაპამ.

— აგრე უნდა იყოს, აგრე, გუშინაცა ვნახე საბუეში ჩამოსული!..

— ჰაი გიდი, ნოდარ!... ჰაი გიდი!., რა ოქროსავით ბიჭი გამოგვაცალეს ხელიდან.

— ხელში ღონე და თვალში ჩინი გამოაცალოს ღმერთმა იმის მკვლელსა...

— ამინ მითქვამს, ქიტესავ, ამინ!

— აგრე იყოს, პაპავ, აგრე!

მაღაზიიდან გამოსულმა შოფერმა პროკურორის თანაშემწეს ფანჯრიდანვე გადააწოდა პაპიროსის კოლოფი, თვითონაც გვერდში მიუჯდა და ათუხთუხებული მანქანა სწრაფად დაძრა ადგილიდან.

... კოოპერატივის წინ ისევ ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ საუბარში გართული გლეხები, ისევ გულდინჯად, სიტყვის დაგრძელებით ჰყვებოდნენ ცისა და ბარის ამბებს.

კნაჭა აბრია ქადაგად დაცემულივით ჩამდგარიყო ბიჭებში და მანჭვა-გრეხით ახლა მავან-მავან მექოთნის ამბავს ჰყვებოდა. ჰყვებოდა და სულის მოთქმას აღარ აცლიდა სიცილისაგან დაჭაჭულ და დაოსებულ ბიჭებს.

* * *

მანქანა რწევა-რწევით მიჰყვებოდა თემშარას.

პროკურორის თანაშემწე გარინდებული იჯდა სავარძელში. გონებაში ერთხელ კიდევ თავს უყრიდა და აანალიზებდა რამდენიმე დღის გულმოდგინე ძიების შედეგებს.

ძაფის პატარა წვერი, რომელსაც შეიძლება საიმედოდ ჩასჭიდებოდა კაცი, ნელ-ნელა გამოეწია და ჩახლართული საქმის მთელი გორგოლა გამოეხსნა, ჯერ კიდევ ხელში ვერ მოეგდო ივანეს.

ნოდარ ბერიაშვილის მკვლელობის მოწმის თეიმურაზ სისაურის განმეორებით დაკითხვას არავითარი ახალი მასალა არ მიუცია მისთვის. უბედური შემთხვევის შემდეგ თეიმურაზი ჯერ კიდევ გონებაზე არ იყო მოსული და თვითონვე სტოვებდა დაზარალებული ადამიანის შთაბეჭდილებას.

ახალგაზრდა კაცი რაღაც დაძაბული, გაოგნებული ლაპარაკობდა დიდშარების თავშესაყართან მომხდარ მკვლელობაზე. დაღუპული მეგობრის გახსენებაზე ნერვიული კანკალი უვარდებოდა და ქვითინს ვეღარ იკავებდა ხოლმე.

ლულებგადაჭრილი სანადირო თოფის გარდა თეიმურაზ სისაურმა ვერ შეძლო დამნაშავის სხვა მამხილებელი ნივთის გახსენება, მას არც მკვლელის ტანსაცმლის რაიმე დამახასიათებელი ნიშნის აღწერა შეეძლო. ერთადერთი საგულისხმო



ფაქტი, რაც დაკითხულმა მოწმემ კვლავ დაადასტურა თავის ჩვენებაში, ეს იყო უცნობის გარეგნული ნიშნების აღწერილობა: ეჭვი არ იყო, რომ ბოროტმოქმედი მაღალ-მაღალი, მკვრივად ჩადგმული ახალგაზრდა კაცი იყო.

ადვილი შესაძლებელია, რომ ნოდარ ბერიაშვილი და მისი მკვლელი ცხოვრებაში მართლაც ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ კუნაპეტ სიბნელეში უცნობის გადაჭარბებული სიფრთხილე, ლაბადითა და წარბებამდე ჩამოფხატული ქუდით მთელი სახის გულმოდგინედ შენიღბვა, რაღაც ძლიერ აეჭვებდა პროკურორის მოადგილეს.

გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო, რომ მკვლელი საბუეს მცხოვრები იყო და სწორედ ამიტომაც, თეიმურაზის გასაგონად, განზრახ ლაპარაკობდა თითქოსდა თავის მსხვერპლს პირველად ხვდებოდა.

როგორც ძიებით დადგინდა, იმ ხანებში სოფელში არც ერთ ოჯახში ოფიციალურად არ ინახებოდა ლულებგადაჭრილი სანადირო თოფი. საიდუმლოებით მოცული რჩებოდა ისიც, თუ ვისი ხელით შეიძლებოდა დამზადებულიყო მოკლულის გვამიდან ამოღებული ტყვიები.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ დაზარალებულის ნათესავები შორეული ეჭვითაც კი ვერ ვარაუდობდნენ, თუ რა მიზეზით შეეძლო ვინმეს სასიკვდილოდ გაემეტებინა ნოდარი. მოწმეების განმეორებითი დაკითხვით ნათელი გახდა, რომ ნოდარ ბერიაშვილი მუდამ თავაზიანი, კეთილი და გამრჯე ახალგაზრდა იყო.

ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ნოდარს არავისთან არ მოსვლია სერიოზული ჩხუბი, რამდენადაც მათ იცოდნენ, არავისთვის არ მიუყენებია გულში შურის საძიებლად ჩასადები შეურაცხყოფა.

პროკურორის თანაშემწის გონებაში ჯერჯერობით მხოლოდ დროის ერთი პატარა, მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი რჩებოდა გაურკვეველი და ბურუსით მოცული. ეს იყო პერიოდი ნოდარ ბერიაშვილის დაჭრის მომენტიდან მის საავადმყოფოში მიყვანამდე.

ირინე ხატიაშვილი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ნოდარის მისაშველებლად მიირბინა და ვიდრე დაჭრილი გონებას დაკარგავდა, რამდენიმე სიტყვა მოისმინა მისგან.

საქმე № 12484-ში იდო ხატიაშვილის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც არავითარ ხელშესახებ მასალას არ აძლევდა ძიებას, მაგრამ პროკურორის თანაშემწე იმედს არ კარგავდა, რომ განმეორებით დაკითხული მოწმე დამატებით გაიხსენებდა რაიმე პატარა დეტალს. ეს პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი შეიძლება ძაფის ის წვერი ყოფილიყო, რომელსაც საიმედოდ ჩასჭიდებდა ხელს ივანე, ნელ-ნელა ამოსწევდა და ჩახლართული საქმის მთელ გორგოლას გამოხსნიდა...

(გაგრძელება იქნება)

## საგაზაფხულო

### გიორგი მარკოზია

ხეთა სიმწვანე
წვება ხავერდად,
ჩამავალი მზე დაჰნათის ველებს,
მზის ჩასავალში ჩავავლებ ხელებს
ზეცას —
ხსენება გაჰქრეს ღამეთა.
ვირთვები მიწის მწვავე სიმწვანით,
ვარდთა სურნელით ვდღესასწაულობ,
ამიერიდან ალმავსო სურომ
ხსოვნით —
მარადის დაუვიწყარის.
ავფეთქებულვარ ამ მაისობით,
ოცნება ახალ ღელვას მპირდება
და გაუმარჯოს ყველა დიდებას
კაცთა სიცოცხლის მარადისობით!



— ნათელა, მოდი, ჩამაცვი! თუმცა არა, იყავი შვილო. შველა არა მჭირდება, თვითონ ჩავიცვამ.

ფეხზე ჩაიცვა. ტანზეც.

გარეთ მზეა, თბილი ზამთრის მზე. მზე წამალია, იმედია, ღონეა, ძალაა. რომ იყოს ახლა ღრუბლიანი, ცივი ამინდი, არ ადგებოდა საწოლიდან ეს კაცი. მზემ ააყენა, მზე ჩასძახის — დაჯექი, დაწერე, რამდენი სათქმელი დაგიგროვდა. პატარებს მაინც ნუ დასწყვეტ გულს, ხომ დაპირდი საახალწლოდ ახალი მოთხრობით გაგახარებთო!

დასცხა. პიჯაკი გაიხადა. მივიდა მაგიდასთან. კალამი აიღო. ერთხანს იჯდა გარინდებული. ეწეოდა პაპიროსს. მერე რაღაც დაწერა. წაშალა, ისევ დაწერა, ისევ წაშალა. იქნებ თებერვლამდე მზემ ერთხელაც აღარ გამოიხედოს. ამ კაცს უმზეოდ წერა არ შეუძლია. სჯობია ახლა თქვას სათქმელი. მალე იუბილეს უხდიან, ოპერის თეატრი ხალხით გაივსება... იუბილარს შუაგულ სცენაზე დაუდგამენ სავარძელს... შიგ ჩასვამენ, მერე ეტყვიან ქებას, ბოლოს თვითონ უნდა თქვას სიტყვა, თვითონ იუბილარმა, სულ ორი სიტყვა და ეს ორი სიტყვა დაეკარგა სადღაც, ვერ მოუძებნია.

— შენ რა დაწერე ნათელა, აბა მიჩვენე.

— მერე წაგაკითხებ მამა, ახლა დაისვენე.

მზე კიდევ უფრო მატულობს ოთახში. ოთახი სავსეა მზით. მზე გარეთ ეძახის კაცს. გამოდი გარეთ, და თუ ნაცნობი შეგხვდეს, უთხარი — განა ავად ვიყავი? ვისვენებდი, ძალას ვიკრებდი, ვწერდი.

— მაშინ მე გავალ გარეთ ეთერი, წავიდე?

— ახლავე მამა, გამოგყვები!

— არა, არ არის საჭირო. მე თვითონ. მე დღეს ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. მე თვითონ, მე თვითონ!

პალტო ჩაიცვა, კიბეზე ჩავიდა. ნელა, ძალიან ფრთხილად დადის ეს კაცი. ქუჩაში გამოვიდა.

— ბაბუ, გადადი ჩქარა, თორემ დაგეჯახე ჩემი ველოსიპედით!

გულნარა ბახტაძე

გარეთ მზე იყო, ახლად ამოსული, ვეება, მცხუნვარე მზე. დილა არ ჰგავდა გუშინდელ სუსხიან დეკემბერს. თბილოდა ისე, გაძარცულ ხეებსაც დასცხათ ქუჩაში.

მზე კაშკაშებდა, როგორც აპრილში.

შიგნითაც სითბო იდგა. ღუმელის სითბო კი არა. მზე შემოვიდა ოთახში. მზემ გულში ერთი სხივიც არ დაიტოვა, ყველა საწოლზე დააფრქვია.

აქ მოხუც კაცს ეძინა. გუშინ ქუჩაში ქარი დაძრწოდა. შიგნით სითბო იყო, ღუმელის სითბო. მაინც შესცივდა. იჯდა მაგიდასთან. ადგა. სიცივემ არ დააყენა. დატოვა თეთრი ფურცლებით მოფენილი დიდი მაგიდა, კალმისტარი და ჩაწვა ლოგინში. ორი საბანი დაიხურა. მაინც სციოდა. ძლივს გათბა. მას აქეთ წევს. გათენდა მეორე დილა, მაინც წევს. ახლა შუადღეა, ის ისევ წევს. ამდენხანს უპაპიროსოდ მაინც როგორ სძლებს?

მზე შუბლზე ეამბორა. თვალები დაუკოცნა. ამ მოხუცს ახლა საბანი რას უშველის? საბანმა იქნებ გაყინული ფეხი გაუთბოს, ხელი გაუთბოს. გულს მარტო მზე ათბობს. მზემ იცის—ამ კაცს ძალიან უყვარს მზე. როცა მზეს ხედავს, ზღვა აგონდება, მზე და ზღვა ოთარიკოს ახსენებს მამას.—ჰო, რა საყვარელი ყოფილა ზღვა და მისი მოკენჭილი ნაპირი — ამბობს ოთარიკო.

მერე შეშინებული ეძახის დედას:

— დედა, შეხედე მზე ზღვაში ვარდება, მზე იხრჩობა.

შორეული ცისკიდური სისხლისფრად ლივლივებს. ზღვა გაწითლებულია, მზე არ ჩანს.

დედამ ხელში აიყვანა ოთარიკო, მოეფერა. აუხსნა, — მზე ყოველ საღამოს ჩადის, ხოლო დილას ისევ ამოდის.

მზე ისევ და ისევ აფრქვევს სხივებს საწოლზე.

მოხუცი შეინძრა, თვალი გაახილა. მზემ სხივი დაახვედრა და ვეღარ გაუძლო. საბნიდან ხელი გამოჰყო. თვალზე აიფარა. რა მზე ამოსულა, ეს დალოცვილი როგორ ანათებს — მოსძებნა ასანთი. პაპიროსს მოუკიდა. ღრმად, ძალიან ღრმად ჩაუშვა ფილტვებში ბოლი. უჰ, როგორ დასცხა! ეს იმიტომ, რომ მზეა ოთახში. მზეა გარეთ. უნდა ადგეს, ადგეს, მზე ეძახის, ეძახის გარეთ. კაცი ლოგინზე წამოჯდა.



ეს მეტიჩარა გოგოც რომ ფეხებში ებლანდება? დაფრთხა პატარა გოგონა. წამით შეჩერდა. მერე მოკურცხლა, როგორც კურდღელმა.

— ბაბუა, გადადი ჩქარა! — ბრაზობს ბიჭუნა. ველოსიპედი კედელთან ააყუდა, უცდის გზა როდის განთავისუფლდება.



ნუ ბრაზობ, ბიჭუნი, ეს კაცი იმ პატარას ვერ აჰყვება ნაბიჯში. ვერც შენ გაგეჯიბრება სირბილში. შენ გუშინ დაიწყე სიარული ამ დედამიწაზე. იმან მოილია სასიარულო. დაღლილია, დაქანცულია. რვა წლის თუ იქნები, მისი მუხლი კი ოთხმოცი წლისაა. მკლავიც ოთხმოცის. გულიც რომ არ ძგერს მისი ადრინდელივით.

ეს კაცი მძიმედ დადის, ძალიან ფრთხილად, თითქო ეპარებაო ვინმეს.

— დაწერე, დაწერე, კაცო — ჩასძახის მზე. შენ ხომ ლეო ქიაჩელი ხარ, ახლა კი ვეღარ მიცვნიხარ. მაშინ ვისია ტარიელ გოლუა, ალმასგირ კიბულანი, ვისია მაია, ვისია გვადი?

მზე ერთი წუთით დაიმალა; ჩრდილი დადგა კაცის გარშემო. მან შეწყვიტა სიარული, მობრუნდა უკან და ჩქარი ნაბიჯით სახლს მიაშურა. შედგა სადარბაზოსთან. გასძახოს ნანას? გასძახოს ნოდარს? არა, რად შეაწუხოს. თვითონაც ადის. აგერ, ავიდა, პირველი სართული, მეორე, მესამე. ოთახის კარი შეაღო. ოთახში სითბოა, ცხელი ღუმელის სითბო. მზე კი წასულა. მან შლიაპა მოიხადა, პალტო არ გაუხდია. მივიდა ფანჯარასთან. დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა იქ. რაღაც იდუმალი სიჩუმით გაჰყურებდა არე-მარეს.

მზე არ ჩანდა.

— მშვიდობით მზეო. — მზე ჩადის.—ეჰეი, სადა ხარ ახლა ოთარიკო? გაიჭრებოდი ცაში, ღრუბლებში შეცურდებოდი, მზის აბრეშუმის სხივებს მკლავზე დაიხვევდი და მზეს ისევ ამოიყვანდი.

მზე იძირება ოთარიკო, უშველე, უმზეოდ სიცოცხლე თევზსაც არ შეუძლია.

— რას ამბობ მამა? არ იცი განა? მზე ყოველ ღამე ჩადის, დილით ისევ ამოდის და გაანათებს მთელ ქვეყანას — ამბობს ოთარიკო.

—არა, ოთარიკო, მზე აღარ ამოვა, — თქვა კაცმა და შესცივდა. მოშორდა ფანჯარას. აქ დგას მისი საწოლი. ლოგინი თუ უშველის ახლა. ჩაწვა ლოგინში. ორი საბანი წაიფარა.

მზემ დიდხანს იარა ღრუბლებში.

გათენებისას მზე ჩაესვენა. ჩაესვენა მზე ქართული პროზის დიდი ოსტატისა — ლეო ქიაჩელის მზე.

„მაგრამ სიკვდილი არ უგრძნია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მოღიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია“...

ასე წერდა ლეო ქიაჩელი ოდესღაც თავის ერთ მოთხრობაში.



ფოტო
ო. თურქიასი და ე. კესოპინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეო ქიაჩელი

## დაბადების 80 წლისთავის გამო

ლეო ქიაჩელმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე მთელი ჩვენი ხალხის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა; ეს იყო მწერალი, რომელმაც თვითეული ჩვენგანის ნაფიქრ-ნაგრძნობი, სურვილები და მისწრაფებები შესანიშნავ მხატვრულ სახეებში აღბეჭდა და ჩვენი ეპოქის დიდმნიშვნელოვან მოვლენათა სიდიადე ღრმად განგვაცდევინა.

ლეო ქიაჩელის ყოველ რომანსა და მოთხრობაში ვგრძნობთ უსაზღვრო სულიერ სითბოს იმ კეთილშობილი ადამიანისა, რომლის სიცოცხლე მიმართულია თავისი მშობლიური ხალხის სასიკეთოდ; მწერლის ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟები ყველაფერს სწირავენ სამშობლოს ინტერესებს, მის დიადსა და ნათელ მომავალს; ქიაჩელი ეკუთვნის იმ მწერლების რიგს, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მთლიანი და განუყოფელია. როცა ეცნობით მის საყვარელ გმირებს, გრძნობთ და ხედავთ, თუ რაოდენ ღრმად ჩაუქსოვია მწერალს თავისი სული ამ გმირების ცხოვრებაში. ვინც ლეო ქიაჩელს პირადად იცნობდა, შეუძლებელია არ დაგვეთანხმოს, რომ ტარიელ გოლუა და ბათუ ქარდუა თავიანთი სულიერი აღნაგობით, ქცევით, სიდარბაისლითა და მთელი რიგი სხვა მორალური თვისებებით, დიდად ემსგავსებიან მათ შემქმნელს.

ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ქიაჩელი) დაიბადა 1884 წლის 20 თებერვალს, სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი).

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლეო ქიაჩელი ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შედის. 1905 წელს, სტუდენტთა მღელვარების გამო, უნივერსიტეტი დროებით დახურეს. ლეო ქიაჩელი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც იგი ფართოდ გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება; ამის გამო 1906 წლის დამდეგს იგი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში ჩაამწყვდიეს.

1907 წელს საიდუმლო ხვრელით ამ ციხიდან პატიმართა საკმაოდ დიდი ჯგუფი გაიქცა, მათ შორის ლეო ქიაჩელიც. „დავაღწიე თუ არა თავი ქუთაისის ციხეს, — წერს იგი ავტობიოგრაფიულ ნარკვევში, — ამხანაგებმა მიშოვეს საიმედო პასპორტი და მოსკოვს მივაშურე“.

1912 წელს მოსკოვში მეფის ჩასვლას ელოდნენ. გამოცხადდა ქალაქის „წმენდა“ არაკეთილსაიმედო ელემენტებისაგან. აუცილებელი იყო ლეო ქიაჩელს სასწრაფოდ დაეტოვებინა მოსკოვი. ამხანაგების დახმარებით იგი ახერხებს ჟენევაში გამგზავრებას, სადაც იმ დროს ცხოვრობდნენ მისი ახლო მეგობრები.

ემიგრაციის წლებში ლეო ქიაჩელმა შექმნა ფართო ეპიკური ტილო — „ტარიელ გოლუა“.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ლეო ქიაჩელი სამშობლოში ბრუნდება.

ლეო ქიაჩელის ტალანტის ყოველმხრივ და მთელი სიღრმით გამოვლინებას ხელი შეუწყო სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის გამარჯვება მწერალმა ჯერ კიდევ „ტარიელ გოლუაში“ იწინასწარმეტყველა.

პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც ლეო ქიაჩელმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაწერა, იყო რომანი „სისხლი“ (1927 წ.), სადაც კვლავ თავი იჩინა რევოლუციის თემატიკამ. „სისხლში“ გამოხატულია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდგომი პერიოდის მოვლენები, რეაქციის სუსხიანი წლების კონკრეტული მხატვრული სურათები.

30-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ლ. ქიაჩელის ნოველები: „თავადის ქალი მაია“ და „ალმასგირ კიბულან“. მას მოჰყვა „ჰაკი აძბა“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ ავტორის მაღალ ნოველისტურ ტალანტზე.

1936 წელს ჟურნალი „მნათობი“ იწყებს „გვადი ბიგვას“ ბეჭდვას. ამ რომანმა თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. ვიდრე ამ ნაწარმოებს შექმნიდა, ლეო ქიაჩელმა კარგა ხანი დაჰყო სოფლად, საკუთარი თვალით ნახა ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის წინსვლა და გამარჯვება, სოფლის მშრომელი ადამიანების ახალი ყოფა და ყოველივე ის, რითაც წარმტაცი და მომხიბლავია კოლექტიური შრომის ფერხულში ჩაბმულ ადამიანთა ცხოვრება.

როცა ვლაპარაკობთ ლეო ქიაჩელზე, როგორც მწერალზე, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მისი უაღრესად მაღალი ადამიანური თვისებები, მისი ერთობ სიმპათიური და კეთილშობილური ბუნება, კერძოდ კი მისი დამოკიდებულება თანამედროვეობის მოვლენებისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელს ყურადღებიდან არ გამოჰპარვია არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რამ ჩვენი ცხოვრებიდან.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი მწერლები აქტიურად ეხმარებოდნენ ჩვენი ხალხის ბრძოლას მტერზე გამარჯვებისათვის. ისინი თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობას, ჩვენი ხალხის ვაჟკაცურ შემართებას, ფიზიკურსა და სულიერ გაუტეხელობას, გმირულ თავდადებას ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ამ თემას ლეო ქიაჩელმა მიუძღვნა რომანი „მთის კაცი“, რომელიც სამამულო ომში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მონაწილეობაზე, მათ მორალურ სისპეტაკესა და პატრიოტულ თავდადებაზე მოგვითხრობს.

თანამედროვე დიდი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებს ჩვენი დიადი დროის ბეჭედი აზის, ისინი შესრულებულია იდეოსტატის ფუნჯით და უპასუხებენ საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასმულ ამოცანებს.

ლეო ქიაჩელმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს გულში. მისი ხსოვნა სამუდამოდ უკვდავი იქნება.

ვლადიმერ ჯიბუტი



# მოუთმენელი გული

გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი ექიმებისათვის ამჟამად წარმოადგენს ნომერ პირველ პრობლემას.

ახლა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი გავრცელებულია უფრო მეტად, ვიდრე კიბო, ტუბერკულოზი და ინფექციური დაავადებანი. ადრეული სიბერე, შრომისუნარიანობის დაკარგვა, დიდი მატერიალური ზარალი — აი რა მოაქვს ამ დაავადებებს; ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი და მიოკარდის ინფარქტი წარმოადგენს გულ-სისხლძარღვების დაავადებათა ყველა შემთხვევის ოთხმოც პროცენტს. ეს საკმაოდ არასასიამოვნო სამეულია, რომლის წინააღმდეგ ახლა დარაზმულია ექიმთა მთელი ძალები. მედიცინის მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილია სპეციალური საპრობლემო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სამი ძირითადი დაავადების შესწავლის ორგანიზაციას.

ეს პრობლემა მედიცინის წინაშე წამოიჭრა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინ, რუსეთის ერთ-ერთ წამყვან კლინიკაში, ცნობილ კარდიოლოგ პროფესორ ლანგთან, ლენინგრადში მე ვნახე მიოკარდის ინფარქტისა და ჰიპერტონიის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები. მიოკარდის ინფარქტი პირველად მხოლოდ 1910 წელს იქნა აღწერილი კიეველი კლინიცისტების მიერ.

ახლა კი ინფარქტის დაავადება კარგად არის ცნობილი თვითეული ჩვენთაგანისათვის. სასწრაფო დახმარების ახალგაზრდა ექიმები ამ დაავადებას უშეცდომოდ უსვამენ დიაგნოზს და მიჰყავთ ასეთი ავადმყოფები სპეციალურ სტაციონარში.

შეკითხვა: რით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს დაავადებანი ახლა უფრო მეტად არის გავრცელებული?

— არსებობს მრავალი თვალსაზრისი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი თეორია, რომლებიც, შესაძლებელია, არ გამორიცხავენ ერთმანეთს.

ჩვენი დრო მდიდარია მეტად რთული ნერვიული განცდებით. ინდუსტრიალიზაცია, მექანიზაცია, ურბანიზაცია (ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელება) წარმოქმნიან ახალ ურთიერთობებს ადამიანის ორგანიზმსა და გარემოს შორის. საჭირო ხდება მეტი თავდაჭერა, მეტი ფსიქოემოციური დაძაბვა.

როგორც ცხოველთა სამყაროს, ისე ადამიანთა საზოგადოების პრიმიტიული ფორმების კანონები ორგანიზმისგან მოითხოვდნენ პირდაპირ, ფიზიკურ რეაქციებს: ან გაქცევას თავდამსხმელისაგან, ან თავდასხმას მასზე. „სამი მუშკეტერის" დროს ყველა კონფლიქტი დაშნის საშუალებით გადაწყდებოდა ხოლმე.

რა რეაგირებას ახდენს თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი წყენის მიმართ? იგი იძულებულია დაამუხრუჭოს თავისი გრძნობები, შეიკავოს თავი. ამის გამო წყენის შეგრძნობა დიდხანს რჩება და მოსვენებას აღარ აძლევს ადამიანს: ემოციები ვერ პოულობენ თავიანთ განმუხტვას ფიზიკურ აქტში. ამაშია მთელი „უბედურება". საკუთარი გამოცდილებით ვიცი: თუ გაბრაზების დროს ენერგიულად ივლი, თუ ფიზიკურ მუშაობაზე გადაერთვები, მაშინვე გულზე მოგეშვება.

შეკითხვა: რატომ არის აუცილებელი ფიზიკური განმუხტვა?

— კუნთების დაძაბვა და სისხლძარღვების ტონი დაკავშირებულია ერთმანეთთან. სისხლძარღვები ფართოვდება, რათა გააძლიეროს მომუშავე კუნთების კვება, მაღლდება სისხლის წნევა. ყოველგვარ ფიზიკურ აქტს თან სდევს ადრენალინის დაგროვება სისხლში. ფიზიკური აქტის დამთავრების შემდეგ სისხლის წნევა კვლავ დაბლა იწევს, ადრენალინი კი „იწვის". თუ ემოციურ აქტს არ მოჰყვა ფიზიკური აქტი, ადრენალინი გამოუყენებელი დარჩება და არც სისხლის წნევა დაიწევს დაბლა. ეს აქტი, რომელიც დასაწყისში ფიზიოლოგიური ხასიათისაა, შემდეგ პათოლოგიურ ხასიათს იძენს და დაავადებას იწვევს.

ასეთი რეაქციები ყველა ადამიანში როდი წარმოიქმნება. დასუსტებული ორგანიზმის მქონე ადამიანები — ისტერიით და ნერვასტენიით შეპყრობილნი არ ვარდებიან ჰიპერტონულ მდგომარეობაში. ჰიპერტონიით ავადდებიან ძლიერი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, თავშეკავებული ადამიანები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან დიდი შემოქმედებითი ენერგიით.

მეორე, ბიოქიმიური თეორია, ამტკიცებს, რომ ყველაფერში დამნაშავეა ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. ასე მაგალითად, ათეროსკლეროზის დროს სისხლში იზრდება ქოლესტერინის რაოდენობა. იგი ადამიანის ორგანიზმში ქონისგან გამომუშავდება. მაშასადამე, საკითხი ეხება არა მარტო საკვებთან ერთად ზედმეტი რაოდენობის ქოლესტერინის მიღებას, არამედ ქონის მიღებასაც.

მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები, სხვათა შორის, გვიჩვენებენ, რომ დამნაშავეა არა მარტო ქოლესტერინი, არამედ სხვა დარღვევებიც სისხლისა და მისი ცილების შემადგენლობაში. ქოლესტერინისა და სხვა ნივთიერებების ჩარჩენა სისხლძარღვების შიდა გარსში წარმოშობს ე. წ. ბალთებს, რომლებიც ავიწროებენ სისხლძარღვებს და ამით აბრკოლებენ სისხლის მიმოქცევას. წარმოიქმნება თრომბოზი. გულის სისხლძარღვების თრომბოზი ათეროსკლეროზის დროს იწვევს გულის კუნთის ერთი ნაწილის სისხლისაგან დაცლას, მის მკვეთრ დაზიანებას. სწორედ ეს არის მიოკარდის ინფარქტი. ასეთი რამ შეიძლება ჰიპერტონიის დროსაც მოხდეს, რადგან ამ დაავადებასაც ახასიათებს მიდრეკილება სისხლში ქოლესტერინის დაგროვებისაკენ. ჰიპერტონიის დროს სისხლძარღვებში ჯერ კიდევ არ ვხვდებით ორგანულ დარღვევებს, მაგრამ მათი ფუნქციალური და ბიოქიმიური წინამძღვრები უკვე წარმოიქმნებიან. ამ აზრით იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ათეროსკლეროზის წინა სტადია. ბიოქიმიურ თეორიას ხშირად მივყევართ პრობლემების გამარტივებისაკენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ათეროსკლეროზის თავიდან აცილებისათვის საჭიროა მხოლოდ დიეტის დაცვა.

სამწუხაროდ, ყველაფერი ასე უბრალოდ როდი აიხსნება. გავიხსენოთ თუნდაც ფერწერა, მეჩვიდმეტე საუკუნის ძველი პორტრეტები — რუბენსის და ვან-დეიკის შესრულებით. ამ პორტრეტებზე ჩვენ ვნახულობთ მსუქანლოყებიან, სქელ, ხანშიშესულ ადამიანებს, დამშვენებულებს გვარიანი ზომის ღიპით. მაგრამ განა ისინი ავად ხდებოდნენ ჰიპერტონიით? განა შექსპირისეულ ფალსტაფს ჰქონდა ინფარქტი? და განა არ ვიცით რაბლეს დიდებულ ნაწარმოებებიდან, თუ რამდენს ჭამდნენ ჩვენი წინაპრები?

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მაგალითად მოვიყვანო ოხოტის ზღვის პირას მცხოვრები მოხუცი მეთევზე, რომელიც თევზით იკვებებოდა და ყოველდღე ხიზილალის კოლოსალურ რაოდენობას ნთქავდა. ასე რომ, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე იგი ზედიზედ თხუთმეტჯერ მეტ ქოლესტერინს იღებდა დღეში, ვიდრე რომელიმე მოსკოველი. იგი მაშინ 50-55 წლის იყო და ჩვენთან თერაპიის ინსტიტუტში შემთხვევით მოხვდა. ჩვენ იგი გამოვიკვლიეთ და აღმოვაჩინეთ ქონის აბსოლუტურად ნორმალური ცვლა და ნორმალური სისხლის წნევა.

შეკითხვა: მაშ რაში იყო საქმე?

— იგი მთელ თავის დღეებს მძიმე ფიზიკურ შრომაში ატარებდა. ამიტომ საუცხოოდაც ითვისებდა კვების ყველა პროდუქტს. მას არ ჰქონდა ხანგრძლივი მღელვარების მიზეზი და არც დრო იმაზე ფიქრისათვის, გახდებოდა ავად თუ არა, ან შეუშლიდა თუ არა ხელს ცხოვრებაში ეს ავბედითი ქოლესტერინი.

მაგრამ ხომ არიან ასეთი ავადმყოფები? მაგალითად, ჩემთან მოდის მეტად პატივცემული ადამიანი და მეუბნება: „მე გადიდებული რაოდენობის ქოლესტერინი მაქვს". ვეკითხები: „რას უჩივით?" გამოირკვა, რომ არაფერს. მას ადარდებს ქოლესტერინის რაოდენობის ზრდა და რახან გაზრდილია ქოლესტერინი, მაშასადამე, იგი ავადმყოფობის კანდიდატიცაა! მე, რა თქმა უნდა, არ გამიკვირდება, ეს კაცი რომ ნამდვილად გახდეს ავად. ხდება ხოლმე, როცა ადამიანი შიშობს ჭამოს კვერცხები და ჩვეულებრივი კარაქი, რომლებითაც დასაბამიდან იკვებება კაცობრიობა, და ამ შიშით საკუთარ თავში ნდობას უტეხავს ჩვეულებრივ კვებას, ეს კი, თავის მხრივ, ბიძგს აძლევს მას ნევროტიზაციისაკენ.

ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში მაინც ნერვიული გადაღლაა. მაგრამ ყველა ავადმყოფს ჰიპერტონიის თავისებური მიზეზი და განცდების თავისი კომპლექსი აქვს, რომლებიც მისი ტვინის სისტემაში იწვევენ ნევროტიულ დარღვევებს. ტვინი კი განაგებს სისხლძარღვების ტონუსს. ფსიქოემოციური ძვრები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჰიპერტონულ დაავადებას, მეტად ფაქიზი და რთულია.

შეკითხვა: რა სიახლეებია გულსისხლძარღვთა დაავადებათა მკურნალობაში?

— თუ ჰიპერტონიაზე ვილაპარაკებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ საკითხში მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული. უპირველეს ყოვლისა, თითქმის სულ გაქრა ე. წ. ავთვისებიანი ჰიპერტონია, რისგანაც ადამიანები სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში იღუპებოდნენ.

გაცილებით ცუდი მდგომარეობაა ათეროსკლეროზის მკურნალობის დარგში, რადგან ყველა ჩვენი ცდა, მივეღო ამ დაავადების საწინააღმდეგო ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება, ჯერჯერობით წარმატებით არ დაგვირგვინებულა, თუმცა უკვე ნაპოვნია ქოლესტერინის დონეზე ზემოქმედების გზები. მაგრამ მეცნიერების წინაშე სხვა ამოცანა დგას. აუცილებელია ისეთი პრეპარატების შემუშავება, რომლებიც იმოქმედებდნენ ფერმენტულ ბიოქიმიურ პროცესებზე. ამ პროცესების მოშლა ხომ დაავადების საფუძველია.

ამჟამად ჩვენც სწორედ ფერმენტულ სისტემებს ვსწავლობთ, რომლებიც განსაზღვრავენ ლიპიდურ ქოლესტერინულ ცხიმოვან ცვლას. შეიძლება ამ შესწავლის პერიოდში აღმოჩენილ იქნას ამ დაავადების ახალი მიზეზები, მათთან ბრძოლის ახალი მეთოდები.

უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილია მიოკარდის ინფარქტის მკურნალობის საინტერესო მეთოდები. მიღებულია ფიბროლიზი — ნივთიერება, რომელიც შლის ინფარქტის დროს შევიწროებულ სისხლძარღვებში წარმოშობილ საცობს — თრომბს. შესწავლილია არა მარტო სისხლის შედედების, არამედ შედედების საწინააღმდეგო ფაქტორების მთელი სისტემა. ეს არის ბიოქიმიკოსის პროფ. ბ. კუდრიაშოვისა და მისი კოლექტივის, აგრეთვე ე. ჩაზოვისა და თერაპიის ინსტიტუტის სხვა თანამშრომლების დამსახურება. ეს შრომები ახლა წარდგენილია ლენინურ პრემიაზე.

თერაპიის ინსტიტუტის გამოცდილება გვიჩვენებს: თუ ინფარქტის დაწყების პირველ დღეებში ფიბრინოლიზინითა და ჰეპარინით ჩავატარებთ მკურნალობას, საცობი შეწოვილი იქნება.

შეკითხვა: შეიძლება თუ არა გულსისხლძარღვთა დაავადების თავიდან აცილება?

— შეიძლება. მაგრამ საჭიროა ბრძოლის დაწყება სულ ადრეული ასაკიდან. ჩვეულებისამებრ სთვლიან, რომ ეს ორმოცდაათწლიანების დაავადებაა. ჩვენ კი, ექიმები, ხშირად ვხვდებით ჭაბუკ ჰიპერტონიკებს და ოცდახუთი წლის ადამიანებს, რომლებიც ინფარქტით ავადდებიან.

ათეროსკლეროზის პრობლემებზე მომუშავე აკადემიკოს ნ. ნ. ანიჩკოვის მონაცემებით ქოლესტერინის ნალექი თექვსმეტი წლის ახალგაზრდებსაც კი აქვთ. ასე რომ, გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა ახალგაზრდებს შორის — მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. სამწუხაროდ, ამ საკითხს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ექიმებიც (განსაკუთრებით სკოლის ექიმები), პედაგოგებიც, მშობლებიც.

ეს საქმე კი ყველას ეხება. მთავარია ბავშვებში განვავითაროთ ამხანაგობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების გრძნობა. ეს თვისებები საშუალებას აძლევენ მოზრდილ ადამიანს მოახდინოს სწორი რეაგირება ცხოვრების მოვლენებზე. ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბება მისი ბავშვობის ასაკიდანვე შეიძლება, ისე, რომ მასში არ ჰარზობდეს მეტისმეტი მიდრეკილება უარყოფითი ემოციებისადმი, ეს არის მეტად დიდი, ჯერ კიდევ დაუმუშავებელი პედაგოგიური პრობლემა. საკუთარი ემოციების აღზრდა აუცილებელია მოზრდილი ადამიანისთვისაც.

აკად. ა. მიასნიკოვი
თერაპიის ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლმეურნე ქალი.

ავგუსტ როდენი.




იაკობ ნიკოლაძე

# ჯიბსონ ხუნდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



პეიზაჟი.

მთაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპერაცია „800"

მოგონება

ცხრაას ორმოცდახუთი წლის იანვარი იყო.

ჩვენი ჯარები უკვე ბუდაპეშტში შეიჭრნენ.

უნგრეთის დედაქალაქში ჩამწყვდეული ჰიტლერელთა დივიზიები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ქალაქის ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გამართული. თვითეული ქუჩის, მოედნისა თუ სახლის აღება ციხე-სიმაგრის აღებას ნიშნავდა. ცეცხლის ალში იყო გახვეული ქალაქის საუცხოო ნაგებობანი და ისტორიული ძეგლები.

66-ე გვარდიულმა დივიზიამ, რომელშიც ჯერ ასეულის, შემდეგ კი ბატალიონის მეთაურად ვითვლებოდი, დავალება მიიღო შუაზე გადაეკვეთა ბუდაპეშტის მთავარი ნაწილი — პეშტი და დუნაიზე გადასულიყო. ხუთი დღე-ღამე მივიწევდით წინ. უკან მოვიტოვეთ მტრის წინააღმდეგობის ცალკეული კერები.

— წინ!... წინ!... — გაიძახოდა დივიზიის მეთაური, გვარდიის გენერალ-მაიორი ფედოროვი. მას ხელთ ეპყრა სადღაც ნაპოვნი გრძელი ძველებური ხმალი და იმით უჩვენებდა ქვეგანაყოფებს ბრძოლების მიმართულებას.

შეტევების მეექვსე დღეს მოკლეს ჩვენი ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური, მამაცი კაპიტანი სპირიდონოვი. საკომანდო პუნქტში დავტოვე ბატალიონის შტაბის უფროსი, კაპიტანი ასკეროვი და ბრძოლებში ჩაბმულ პირველ ასეულის მებრძოლებს წინ გავუძეხი.

დილიდანვე მძიმე ბრძოლებით მივიწევდით წინ.

შუადღე მოახლოვდა. მებრძოლები დაიქანცნენ. საჭირო იყო მცირე შესვენება და დანაყრება. უკანასკნელი კვარტალი ისე გავიარეთ, რომ მტრის წინააღმდეგობას არ წავწყდომივართ. ამ უბანში პატარა ერთ-ორსართულიანი სახლები იყო და მათი შემოწმება არც ისე ძნელი საქმე იყო ჩვენთვის.

ჩვენს წინ, ქუჩის პირდაპირ ორსართულიანი სახლი იდგა განიერი სადარბაზო შესასვლელით.

— ბიჭებო! აი იმ პატარა სახლში შევიდეთ, იქ დავისვენოთ და ვისადილოთ კიდეც, — ვუთხარი მებრძოლებს, — მოამზადეთ იარაღი და ხელყუმბარები...

— რა საჭიროა მომზადება, ამხანაგო კაპიტანო, მომმართა პირველი ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა ეგოროვმა, — ხომ ხედავთ ჰიტლერელები გაიქცნენ, წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

— სიფრთხილე ყოველთვის საჭიროა. მტერი ჩასაფრებული რომ აღმოჩნდეს, რაღას იტყვი მაშინ? მოამზადეთ იარაღი, წინ!

შენობაში წინასწარ შევყარეთ ხელყუმბარები, ასეულიდან გადარჩენილი ოცდაათი ოფიცერი და ჯარისკაცი შევიჭერით შიგნით, ავირბინეთ რამდენიმე საფეხურიანი კიბე და აივანზე გამოვედით.

...ის, რაც ჩვენ დავინახეთ, შიშის ზარს დასცემდა ყოველ ადამიანს.

შენობის სადარბაზო — უზარმაზარი ყაზარმის უკანა შესასვლელი აღმოჩნდა. დიდი ეზო მტრის ჯარით იყო სავსე; გარშემო აღმართული იყო ოთხსართულიანი ყაზარმის შენობები მოცემენტებული განიერი ღია დერეფნებით. ეზოში იდგა იარაღ-საჭურვლითა და სამხედრო მოწყობილობით დატვირთული ავტომანქანები. დერეფნებსა და ეზოში გარბოდნენ გერმანელი ჯარისკაცები. ეტყობა იმ მხრიდან, საიდანაც ჩვენ ყაზარმებში შევიჭერით, არ მოელოდნენ თავდასხმას.

უკან გამობრუნება კრაზანების ამ ბუდიდან შეუძლებელი იყო: ჰიტლერელები კონტრიერიშზე გადმოვიდოდნენ და ისე ამოგვხოცავდნენ, რომ ამბის წამღებიც არ დარჩებოდა.

სწრაფად გავეცი ბრძანება:

— სროლა არ შეანელოთ, რაც შეიძლება ძლიერ იხმაურეთ, შექმენით შთაბეჭდილება, რომ დიდძალი ჯარი მოგვყვება უკან.

დერეფნის ორივე მხარეს, ყოველ სართულზე სამ-სამი ჯარისკაცი გავგზავნე. ისინი ავტომატების განუწყვეტელი სროლით მიიწევდნენ წინ, იმ ოთახებში, სადაც გერმანელთა ერთმა ნაწილმა შეაფარა თავი, ხელყუმბარები შეყარეს. საწყის პოზიციაზე დარჩენილმა მეომრებმა ცეცხლი დაუშინეს ეზოში თავგზააბნეულად მორბენალ გერმანელებს.

ეზოში მყოფმა და აივნებიდან გაქცეულმა ჰიტლერელებმა სარდაფებს შეაფარეს თავი.

— მაგათი ამორეკვა სარდაფებიდან გაძნელდება. ყველას ამოგვჟუჟავენ,—წაილაპარაკა ჩემს გასაგონად მესამე ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა აკაკი ნაკაშიძემ.

ერთიმეორის მიყოლებით ორი ჯარისკაცი ვაფრინე პოლკისა და დივიზიის შტაბებში? ურიცხვი მტრის დასატყვევებლად ვთხოვდი მაშველ ძალას.

სანამ გერმანელები გონს მოვიდოდნენ, საჭირო იყო დროს მოგება.

ერთ-ერთ ოთახში ჩვენმა მეომრებმა გერმანელთა ხელყუმბარების საწყობი აღმოაჩინეს. ზემოთა სართულებიდან სარდაფების ჩასასვლელებში ზედიზედ ვყრიდით ხელყუმბარებს. ისე გავუხადეთ საქმე, რომ გერმანელები თავის ამოყოფას ვერ ბედავდნენ სარდაფებიდან.

მეოთხე სართულის მარჯვენა მხარეს გაგზავნილთაგან ერთი ჯარისკაცი დაბრუნდა. მომახსენა: ოცდაექვსი გერმანელი დაგვნებდა ტყვედ, იარაღი დაყარეს, დიდ ოთახში დავამწყვდიეთ და გუშაგი მივუყენეთო.

თანდათან ბრუნდებოდნენ მოხსენებისათვის მებრძოლები სართულებიდან და მიპატაკებდნენ: თოთხმეტი ჯარისკაცი და სამი ოფიცერი დავატყვევეთ... გერმანელი მაიორი არ დაგვნებდა, თავი მოიკლა... აღმოვაჩინეთ იარაღის საწყობები... სურსათის საწყობები...

ჩვენი მაშველი ჯარი კი არ ჩანდა.

ყაზარმის მოწინააღმდეგე მხარეს ჯარისკაცები ჩავასაფრეთ თვალყურის სადევნებლად, რათა, თუ გერმანელების მაშველი ძალები მოვიდოდა, შეეჩერებინათ. ამისათვის ბიჭებს მომარაგებული ქონდათ ნადავლი ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ხელყუმბარები.

მტრის წინააღმდეგობა ყაზარმის ტერიტორიაზე ყველგან შეწყდა. სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი ხელყუმბარების აფეთქებების ხმა არღვევდა.

თანდათან გავთამამდით. ლეიტენანტი ნაკაშიძე და ორი ჯარისკაცი ფრთხილად ჩავიდნენ ეზოში. მომარჯვებული ავტომატებით უახლოვდებოდნენ ეზოში მდგარ მანქანებს, ათვალიერებდნენ მათ. შემდეგ, ეტყობა მობეზრდათ მანქანის დათვალიერება, უკან დაბრუნდნენ. მათ დასაცავად ჩემს ახლოს ორი ტყვიამფრქვევი იყო გამზადებული.

## მფრინავები

### ბიძინა მინდაძე

დამიმეგობრდნენ, ისე ვით ტოლ-სწორს...
(ცა არის მათი მაღალი სახლი),
მე მათთან ყოფნა ძალიან მომწონს,
საერთოდ, მიყვარს მამაცი ხალხი.

მათსავით მიყვარს ღრუბლებში გავლა
და დედამიწის ზემოდან ცქერა...
— ჩვენ ერთ რამეში ერთმანეთს ვგავართ —
მოტორებს ვუსმენთ, ვით მაჯისცემას.

სიცოცხლეს ვზიდავთ ჰაერში მხრებით...
ვგრძნობდი — ვუგებდი გულების ფეთქვით.
ხელები, ვით მთის მდინარეები
საძმოდ, საკაცოდ, ერთმანეთს ერთვის.

დამიმეგობრდნენ, ისე ვით ტოლ-სწორს...
(ცა არის მათი მაღალი სახლი).
მე მათთან ჭიქის აწევაც მომწონს,
საერთოდ, მიყვარს მამაცი ხალხი.

ნაკაშიძემ მარცხნივ გაიშვირა ხელი, რაღაც მანიშნა.

ერთ-ერთი სარდაფიდან გრძელ ჯოხზე წამოცმული თეთრი ნაჭერი მოჩანდა.

ლეიტენანტი და ჯარისკაცი იქით გაემართნენ.

— ფრთხილად! — შევძახე ქართულად. — ზევით არ ამოუშვათ!

ეს იმიტომ დავუძახე, — არ მინდოდა დაენახათ გერმანელებს, რომ ჩვენ ძალზე ცოტანი ვიყავით.

ეტყობა ვერ გაიგონეს ჩემი შეძახილი.

სარდაფიდან ხელებაწეულნი თითო-თითოდ ამოდიოდნენ გერმანელები. ისინი ჩვენი მებრძოლების წინ აწყობდნენ იარაღს.

— ერთი... ორი... ხუთი... ათი.. ოცდაათი... ორმოცდაათი!.. — ვთვლი გაფაციცებით.

ვღელავ: თუ ჩვენმა მაშველმა ძალებმა არ მოგვისწრო, გერმანელები მიგვიხვდებიან ეშმაკობას და იარაღიც რომ არ ჰქონდეთ, ხელებით დაგვახრჩობენ სუყველას.

— ბიჭო! შენ ლოქოებით სავსე კარგი მორევისათვის მიგიგნია! — მომესმა უკანიდან მეზობელი ბატალიონის მეთაურის კაპიტან ზახაროვის ხმა. გახარებულმა შევძახე:

— საშა! ჩქარა ხალხი! უთვალავ ტყვეებს დაცვა სჭირდება!

ასამდე ჯარისკაცი მოგვეშველა. მათ ჩაკეტეს ყაზარმის ყველა მთავარი შემოსასვლელი.

ოცი სარდაფიდან რვაასზე მეტი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი ამოვიყვანეთ და დავატყვევეთ. ხელთ ვიგდეთ ათასზე მეტი შაშხანა და ავტომატი, ას ოთხმოცი ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი, უამრავი ხელყუმბარა, ვაზნები.

ეზოში აღმოჩნდა სამოცდაათამდე სხვადასხვა დანიშნულებისა და მარკის ავტომანქანა. მათ შორის, ორი მანქანა — რადიოსადგური, სამი სანგარსათხრელი მანქანა, მოძრავი ქიმიური ლაბორატორია, მოძრავი სტამბა. ნადავლში აღმოჩნდა დიდძალი სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი.

ცალკე დავამწკრივეთ ორმოცდაორი ოფიცერი: ორი პოლკოვნიკი, ექვსი მაიორი... კაპიტნები... ლეიტენანტები...

ლეიტენანტმა ეგოროვმა და ორმა ჯარისკაცმა მოიყვანეს დატყვევებული გერმანელთა სამხედრო ორკესტრის დამკვრელები.

დავამწკრივეთ გერმანელები: წინ ორკესტრი დიდი ყავარჯნით ალჭურვილი კაპელმეისტერით, შემდეგ ოფიცრები და ჯარისკაცები.

ჩვენი ბრძანებით ორკესტრმა დაუკრა რაღაც მარში.

ფეხის ტყაპუნით ჩაგვიარეს ჰიტლერის „ნაქებმა" ნაწილებმა, რომლებსაც წინ, გვერდით და უკან მიჰყვებოდნენ იარაღმომარჯვებული საბჭოთა არმიის მებრძოლები.

...მეორე დღეს, დუნაის მარცხენა მხარეს მდებარე რაიონი პეშტი, რომელსაც ქალაქის ოთხი მეხუთედი ეკავა, გერმანელებისაგან გავწმინდეთ.

საბჭოთა ჯარების წინსვლის შეფერხების მიზნით გერმანელებმა ააფეთქეს ბუდაპეშტის მშვენება — შესანიშნავი ხიდები.

დაიწყო მძიმე ბრძოლები ალყაშემორტყმული მთაგორიანი ნაწილის — ბუდას განთავისუფლებისათვის.

ვახტანგ სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯარისკაცის უკვდავება

ჩვეულებრივი ამბავია ჩვეულებრივი საბჭოთა ჯარისკაცისა. მისი ბიოგრაფია თითქმის არაფრით არ გამოირჩევა ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანების ბიოგრაფიისაგან, ადამიანებისა, რომლებმაც ის-ის იყო მიიღეს შრომითა და შემოქმედებით აღსავსე მშვიდობიანი ცხოვრების საგზური, მაგრამ ამ ცხოვრების ნაცვლად იძულებულნი შეიქმნენ ომის აღმოდებულ გზებს დასდგომოდნენ.

შოთა ტიბუას ცოტა ადრე მოუხდა ჯარში წასვლა — 1939 წლის თებერვალში გაიწვიეს არმიაში. მაშინ იგი უკვე უმცროს აგრონომად მუშაობდა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში.

მერე კი დაიწყო ომი; შოთამ ბრძოლით გაიარა ვრცელი გზები ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებიდან მდინარე ვოლგამდე და ვოლგიდან ჰიტლერელთა ბუნაგის — ბერლინის მისადგომებამდე. იბრძოდა უკრაინაში, ბელორუსიაში, პოლონეთში, გერმანიაში...

ბელორუსიის პირველი ფრონტის მებრძოლებს დღესაც კარგად ახსოვთ მდინარე ვისლას გადალახვა და ვარშავის შტურმი, კარგად ახსოვთ ეს იმ ოცეულის მეომრებსაც, რომლის მეთაურის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ მეთაურად იყო შოთა ტიბუა. ამ ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოების ფურცელში გვარდიის მე-8 არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ჩუიკოვი წერდა: „ამხანაგი ტიბუა თავისი ოცეულით პირველი შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში და მოსპო 25 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურა ორი საცეცხლე წერტი". ეს იყო 1945 წლის 14 იანვარს.

თერთმეტი დღის შემდეგ ჩვენი ჯარები მდინარე ვარტას მიადგნენ. საშინელი ქარბუქი იდგა. ტიბუას ჯარისკაცებმა ნავებით გადალახეს მდინარე, მავთულხლართები გადაჭრეს და ის იყო საიერიშოდ მოემზადნენ, რომ ჰიტლერელებმა არემარე შუშხუნებით გააჩირაღდნეს და ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კორიანტელი დააყენეს. ტიბუას ჯარისკაცებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. ასე გაგრძელდა ალიონამდე. მტერი საგულდაგულოდ იცავდა ვარტას გაღმა სოფლის მისადგომებს.

მიუხედავად მტრის დიდი წინააღმდეგობისა, ტიბუას ოცეულმა ბრძოლით აიღო სოფელი და პოლკის ქვედანაყოფების მოსვლამდე შეინარჩუნა იგი. ამან საშუალება მისცა გვარდიის წითელდროშოვან პოლკს წარმატებით განეხორციელებინა სარდლობის მიერ დასმული ამოცანა.

ასე გადიოდა დღეები. ჩვენი ჯარები ბერლინს უახლოვდებოდნენ. სწორედ იმ ხანებში, ომის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე საბჭოთა კავშირის გმირი შოთა ტიბუა ბრძოლის ველზე დაეცა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის სკოლის ეზოში შოთას მიერ ბავშვობაში დარგული ხე დგას. ეს ხე ახლა ტოტებგაბარჯღული და მხრებგანიერია. ამ ხის ქვეშ ძლიერ უყვარს ჯდომა მოხუც პლატონ ტიბუას, უყვარს მისი შრიალისა და ჩურჩულის მოსმენა, თითქოს უდროოდ დაღუპულ შვილს ესაუბრებათ.

ჩამოჯდება მოხუცი ამ ხის ჩეროში, უბიდან დროთა მანძილზე გაყვითლებულ და გაცრეცილ ქაღალდს ამოიღებს და ვინ იცის მერამდენედ კითხულობს მას, კითხულობს კი არა, ისე, უბრალოდ დასცქერის და თავისი ბიჭის ვაჟკაცობის ამბავს გულში მეათასედ იმეორებს. „გვარდიის სერჟანტი შოთა ტიბუა, — სწერდა პლატონს ნაწილის სარდლობა, — ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც ვაჟკაცი და სულით მამაცი ადამიანი. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა მეომრების გულში".

ჰო, მოხუცო, შენი შვილის ხსოვნა უკვდავია, მისი ვაჟკაცური ცხოვრების მაგალითი ძალას გვინერგავს კიდევ უფრო დიდი და ახალი გამარჯვებებისთვის.

მაიორი ვ. მექვაბიშვილი




# კარგი ტრადიციის კვალდაკვალ

კარგი პოეტები მუდამ შესანიშნავი მოაზროვნენიც იყვნენ; ეს ასე იყო მთელ მსოფლიო ლიტერატურაში, ასე იყო ჩვენშიც. გაიხსენეთ ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე თეორიული ნაშრომები, რომლებიც დღესაც გვხიბლავენ თავიანთი მიგნებებით, აზრის სიმახვილით და გაქანებით.

ამ ტრადიციას ღირსეულად განაგრძობს ჩვენი დროის შესანიშნავი პოეტი სიმონ ჩიქოვანი. მთელი ათეული წლების მანძილზე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი მეტად საინტერესო წერილები, რომლებიც მუდამ ახლებურად აყენებდნენ, სჭრიდნენ საკითხებს და ხელს უწყობდნენ ჩვენი ლიტერატურული აზროვნების გაცხოველებას; ამჟამად ამ წერილების ერთი ნაწილი ცალკე წიგნად გამოსცა „ლიტერატურა და ხელოვნებამ". წინათქმაში ავტორი უპრეტენზიოდ აცხადებს, რომ ეს წიგნი „კრიტიკული შრომების კრებულად არ ჩაითვლება, იგი უფრო პოეტის აღსარებაა, მის შთაბეჭდილებათა, დაკვირვებათა და განსჯათა თავისებური ცნობარია". ჩვენ დავუმატებდით, რომ ეს ფართო ინტელექტუალური ჰორიზონტის პოეტის აღსარება და მეტად საგულისხმო დაკვირვებებია.

სიმონ ჩიქოვანის წიგნი იხსნება წერილით „სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის სიმღერა". იგი შეიძლება მივაკუთვნოთ იმ საუკეთესო ნაშრომთა რიცხვს, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის" შესახებ დაწერილა. ავტორი ცდილობს გაარკვიოს რუსთაველის ფილოსოფიური მრწამსი და პოემაში ჩაქსოვილი ზნეობრივი მიდრეკილებანი, მთელი ის მორალური კოდექსი, რამაც „ვეფხისტყაოსანი" საუკუნეთა მანძილზე ხალხის ყველაზე საყვარელ წიგნად აქცია. არკვევს რა ამ საკითხს პოემის მხატვრული სახეებისა და ხასიათების კონკრეტული ანალიზის საფუძველზე, ავტორი დაასკვნის:

„ვეფხისტყაოსანი" ქართველი ხალხის მდიდარი სულის მეტყველებაა და მისი კეთილშობილების გამართლება. იგი ქართული სულის ნაამაგარია და მისი უნივერსალური გონების მაჩვენებელი, მარადიული სიმღერაა სიყვარულის, მეგობრობის და ვაჟკაცობისა".

მომდევნო წერილები დავით გურამიშვილის ცხოვრებას ეხება. ჩვენმა მკითხველმა უკვე კარგად იცის, რომ ეს ჩიქოვანის თემაა, პოეტი აქ თავის სტიქიაშია, თავის თუ შეიძლება ითქვას, ნაცნობ გარემოში. ის ხომ თავისი ცნობილი პოემით თითქოს გადავიდა დავითის დროში, ისუნთქა მისი ეზოსა და წისქვილის ჰაერით და მეტად ცოცხალი პორტრეტი წარმოგვისახა მეთვრამეტე საუკუნის დიდი პოეტისა. აქაც, წერილებშიც, ავტორი მეტად საინტერესო კუთხით უდგება გურამიშვილის შემოქმედებას, ადგენს და აზუსტებს არა ერთ დეტალსა თუ თარიღს მე-18 საუკუნის პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიის მართებულად გაშუქების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია". სიმონ ჩიქოვანმა ჩვენს მკვლევართა შორის პირველმა უპოვნა სათავე ბარათაშვილის მერანს „ვეფხისტყაოსანში" და პირველად გაარკვია მემკვიდრეობითი კავშირი რუსთაველსა და ბარათაშვილს შორის. „მოძმის სიყვარულით, მის დასახმარებლად ბედთან შეჯახებული მხედრის პიროვნების ამღერება ქართულ პოეზიაში რუსთაველმა დასავლეთელ პოეტებზე ადრე შეძლო. თითქოს „ვეფხისტყაოსნის" ავტორმა უანდერძა ნიკოლოზ ბარათაშვილს, მოძმის დასახმარებლად ახალი მხედარი გაეშვა. „ვეფხისტყაოსანში" დაჯირითობენ თეთრი და შავი მერნებით ტარიელი და ავთანდილი და მხედრული გაქანებით ბედის საზღვარს სძლევენ. შოთა რუსთაველი ამბობს: მეგობრისათვის თავდადებას სჭირია „ველთა რბენაო; სწორედ ასეთ „ველთა რბენას" თვლიდა საჭიროდ ნიკოლოზ ბარათაშვილი, რათა სიძნელე გზისა მოძმეებს გაადვილებოდა". „შოთა რუსთაველის შემდეგ, — განაგრძობს ავტორი, — ბარათაშვილამდე ქართულ პოეზიაში მერანზე ქროლვა არც ერთ პოეტს არ უცდია". ეს ფრიად საინტერესო მოსაზრებანი ავტორს გამოჰყავს „ვეფხისტყაოსნისა" და ბარათაშვილის ლექსების მეტად საინტერესო და კონკრეტული ანალიზის საფუძველზე.

ფრიად ორიგინალური და დამაჯერებელია სტატიები ილია ჭავჭავაძის „აჩრდილზე", ილიას ლირიკულ ლექსებზე, ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობაზე, აკაკისა და ვაჟას პოეზიაზე. აქ ძნელია ამ წერილების დაწვრილებით განხილვა, საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ს. ჩიქოვანი მართებულად აშუქებს ჩვენი ლიტერატურის ისტორიის არა ერთ საკვანძო საკითხს.

ამას გარდა, კრებულში მოთავსებულია წერილები „ვასილ ბარნოვის თხზულებათა გარშემო", „ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები", „ტიციან ტაბიძის ლექსების წიგნი", „ალექსანდრე აბაშელის გახსენება", „ლევან ასათიანთან გამოთხოვება", „ლადო ასათიანის ლექსების წიგნის წინასიტყვაობა", „ნიკოლოზ ზაბოლოცკი", „გერონტი ქიქოძის განშორება", და „ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები". განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვასილ ბარნოვის ისტორიული მოთხრობების განხილვა, ავტორს დეტალურად შეუსწავლია ვ. ბარნოვის ენა და მისი ფილოსოფიური მრწამსი. ვისაც ვასილ ბარნოვი სიცოცხლეში უნახავს, მას არასოდეს არ დაავიწყდება სიმონ ჩიქოვანის მიერ აღწერილი მწერლის ბიბლიური და ნათელი სახე, რომელიც ჩვენში იწვევდა გარდასულ საუკუნეთა მოღვაწეების — მთაწმინდელებისა თუ ზარზმელების გახსენებას. ს. ჩიქოვანი პორტრეტის შესანიშნავი ოსტატია და ეს ნათლად იგრძნობა აბაშელზე თუ ზაბოლოცკიზე დაწერილ წერილებში.

სიმონ ჩიქოვანის კრიტიკული წერილები ხალისითა და გატაცებით იკითხება; ამ ინტერესს ქმნის მახვილი და მაძიებელი აზრი პოეტისა და გადმოცემის ნატიფი, დახვეწილი ფორმა.

ალ. სიგუა

# „მეგობარი და მკურნალი სახლები"



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯსე უწოდებდა ვახუშტი საქართველოს მინერალურ წყლებს.

ადამიანმა ჯერ ისევ უძველეს ხანაში იცოდა, რომ ბუნება წამლისა და მალამოს უზარმაზარი არსენალი იყო და ამა თუ იმ ავადმყოფობას ხან მზის სხივი უხდებოდა, ხან ჰაერი და ხანაც წყალი; ყველაფერი ეს დაკვირვებამ, პრაქტიკამ, გამოცდილებამ ასწავლა ადამიანს.

ჯერ სად იყო მეცნიერება, როცა ავადმყოფები ბანაობდნენ ისეთ ტბებში, რომლებშიც ელექტროობის მატარებელი თევზები ბინადრობდნენ. რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ ელექტროობაზე და როცა უკეთ ხდებოდნენ, ასე ეგონათ, იმ ტბას ღვთაებრივი ძალა აქვსო.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ჩანს, რომ ელადაში მკურნალობის ღმერთის — ესკულაპის ტაძრებს საგანგებოდ შერჩეულ ადგილებში აშენებდნენ. ამ ადგილების საუკეთესო ჰაერი, სამკურნალო წყლები და ლამაზი ბუნება ხელს უწყობდა ავადმყოფების გამოჯანმრთელებას.

ძველი ბერძენი და რომაელი მეცნიერები — ჰიპოკრატე, გალენი, პლინიუსი და სხვები სამკურნალო დანიშნულებისათვის ფართოდ იყენებდნენ ბუნების ძალებს. მათ მთელი წესები ჰქონდათ შემუშავებული, სადაც ნაჩვენები იყო თუ რა არგებს და რა ავნებს ადამიანის ჯანმრთელობას.

რომაელი სარდლები თავიანთი ჯარისკაცის ფიზიკური გამაგრებისა და გამოწრთობის მიზნით ფართოდ იყენებდნენ მინერალურ წყლებს, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო საკურორტო საქმის, კერძოდ ბალნეოლოგიის განვითარებას.

ამრიგად, მედიცინა ნელ-ნელა იდგამდა ფეხს, მაგრამ ჩამოწვა შუასაუკუნეების ბნელეთი და იმ დროის მისტიციზმმა საგრძნობლად შეაფერხა, როგორც მთლიანად საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ისე კერძოდ მედიცინის წინსვლა. მისი ხელახლად განვითარება რენესანსის ეპოქაში დაიწყო.

საქართველოში მინერალურ წყლებს უძველეს დროიდანვე იყენებდნენ ავადმყოფების სამკურნალოდ. კარგა ხნის წინათ ბორჯომის ხეობაში პროფ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა აღმოაჩინა თლილი ქვისაგან დამზადებული რამდენიმე აბაზანა, რომლებიც, როგორც პროფ. მ. სააკაშვილი ვარაუდობს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს.

ამ აბაზანების აღმოჩენამ საფუძველი გამოაცალა ცალკეულ მკვლევართა მოსაზრებას, თითქოს ბორჯომის სამკურნალო წყლები მხოლოდ 1825 წელს აღმოაჩინეს გორში დაბანაკებულმა გრენადერებმა, რომლებიც ბორჯომის ტყეებში შეშის დასამზადებლად იყვნენ წასულნი.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მეფის ნაცვალმა გოლოვინმა მეტი ვერაფერი მოიფიქრა და ბორჯომის ყველაზე საუკეთესო წყაროს თავისი სახელი მიაკუთვნა, მეორე წყაროს კი თავისი ქალიშვილის—ეკატერინეს სახელი უწოდა. ამჟამად ეს წყაროები ცნობილია როგორც № 1 და № 2 წყაროები.

მკვლევართა გულმოდგინე შესწავლის შემდეგ ბორჯომის მინერალურმა წყლებმა უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭეს მთელ მსოფლიოში. ამჟამად საქვეყნოდ ცნობილია, რომ ეს ძვირფასი წყალი საუკეთესო სამკურნალო ეფექტს იძლევა სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ (პირველ რიგში საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებების დროს).

ბორჯომის მინერალური წყალი საუკეთესო ბალნეოთერაპიული საშუალებაა და, ამავე დროს, მეტად სასიამოვნო სასმელია.

როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, საქართველოში მინერალურ წყლებს უძველეს დროიდანვე იყენებდნენ სამკურნალო მიზნით — აბაზანის სახით, ამავე დროს, ამ წყლებს სასმელადაც ხმარობდნენ. ასეთი სასმელი წყლები ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: ერთი იყო ე. წ. „მომდნობი და მომნელებელნი", რომლებიც საჭმლის მონელებას შველოდნენ, ასეთი ტიპის წყლებს მიეკუთვნებოდა „არჯავანის მთის თხემებზე მყოფი, ფარვანის ტბასთან მდებარე ვეძას, სიონსა, კობსა და უწერაში გამომდინარე წყლები."

მეორე მხრივ, ცნობილი იყო „ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის" დამხმარე სამკურნალო წყლები. დმანისის წყარო მიჩნეული ყოფილა თირკმელების, შარდსადინარი გზებისა და ამ ორგანოებში გაჩენილი კენჭების დამშლელ საშუალებად; დიდგორის წყაროს ღვიძლის დაავადებათა სამკურნალოდ იყენებდნენ და ა. შ.

შორეულ წარსულიდან განთქმული ყოფილა აგრეთვე ნოქალაქევის რადიოაქტიური მინერალური წყლები, სადაც დღემდე შემონახულია რომის იმპერიის პერიოდის საკაპტაჟო მოწყობილობანი.

იგივე შეიძლება ითქვას ცაიშის სამკურნალო წყლებზე. ამ ძვირფას, გოგირდწყალბადიან წყლებს ჯერ კიდევ რომაელები იყენებდნენ თავიანთი მეომრების სამკურნალოდ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ ხანებში აქ აღმოჩენილი იქნა ახალი ტიპის რთული შემადგენლობის წყლები (82° ტემპერატურის), რომლებსაც დიდი ეფექტური სამკურნალო თვისებები აქვთ. ამ წყლების ბაზაზე უკვე დაიწყო დიდი ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა.

არა ერთი ლეგენდა შეიქმნა, ხოლო შემდგომში ბევრი რამ დაიწერა თბილისის სახელგანთქმული გოგირდიანი წყლის აბანოებზე. აღსანიშნავია, რომ თბილისის სამკურნალო წყლები მოხსენებულია ადრინდელი საუკუნეების წერილობით ძეგლებში. კერძოდ ამაზე მოგვითხრობს X საუკუნის გამოჩენილი არაბი გეოგრაფი ალ-ისტახრი. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური შარდენი ვრცლად აღწერს თბილისის აბანოებს. იგი აღნიშნავს, რომ ამ აბანოებში არა მარტო ჯანმრთელი ადამიანები, არამედ სხვადასხვა სენით შეპყრობილი ავადმყოფებიც დადიან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მინერალური წყალი განკურნავს მათ ავადმყოფობას.

თბილისის მინერალური წყლების ბაზაზე ამჟამად აშენებულია კომფორტაბელური საბაზანო შენობა, რომელიც მომავალი უდიდესი და კეთილმოწყობილი ბალნეოლოგიური კურორტის პირველ მერცხალს წარმოადგენს. დღეისათვის თბილისის თერმული გოგირდიანი წყლები უკვე ყოველმხრივაა შესწავლილი, დადგენილია ამ წყლებით მკურნალობის მეთოდები. თბილისის ბალნეოლოგიურმა კურორტმა თავისი სამკურნალო ეფექტით დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი ემსახურება არა მარტო საქართველოს მშრომელებს, არამედ აქ მოძმე რესპუბლიკებიდანაც ჩამოდიან სამკურნალოდ.

მსოფლიოში ცნობილი კურორტის — წყალტუბოს სამკურნალო წყლების შესახებ წერილობით ცნობები, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, XIII საუკუნიდან მოგვეპოვება. ნ. ბერძენიშვილს მოჰყავს ამონაწერი 1246-1250 წლების ნაწერიდან, რომელიც გელათის მონასტერში იქნა აღმოჩენილი; მეცნიერს მიაჩნია, რომ საბაზანო სახლში, რომელზეც აღნიშნულ ნაწერშია ლაპარაკი, — წყალტუბოს აბანოები იგულისხმება. აკად. ნ. ბერძენიშვილი დასძენს, რომ წყალტუბოს მინერალური წყაროები და მისი საბაზანო მოწყობილობა XII საუკუნეში მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. მათი ექსპლოატაცია სპეციალური მოიჯარადრეების საშუალებით ხდებოდა. XIII საუკუნეში მეფეს ეს მიწები უჩუქებია გელათის მონასტრის წინამძღვრისათვის, რომელმაც იგი შემდეგ ხახულის ღვთისმშობლის მონასტერს შესწირა.

1586 წელს იმერეთის მეფე გიორგიმ მდ. წყალტუბოს მარცხენა ნაპირი თავად წულუკიძეს უწყალობა. XVII საუკუნეში კი ალექსანდრე მეფემ თავდადებული სამსახურისათვის ეზია იოსელიანს აჩუქა წყალტუბოს მარჯვენა მხარე, იქ არსებული მინერალური წყლებით. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, 1772 წელს წყალტუბო ინახულა გერმანელმა მეცნიერმა, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრმა გიულდენშტეტმა, მან ეს წყაროები შალტუბოს სახელით მოიხსენია.

1880 წელს წყალტუბოს ესტუმრა მკვლევარი გ. კრიჟანოვსკი, რომელმაც აქ არსებული სამკურნალო წყლების ვრცელი და საფუძვლიანი დახასიათება მოგვცა. სწორედ ამ პერიოდიდან მიექცა ყურადღება წყალტუბოს ძვირფას წყლებს, მის შედარებით ფართო მასშტაბით სამკურნალო დანიშნულებისათვის გამოყენებას.

მაგრამ წყალტუბოს წყლების ნამდვილი მოვლა-პატრონობა და მშრომელთა ფართო მასებისათვის გამოყენება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყოველმხრივ შესწავლილი იქნა წყალტუბოს წყლების სამკურნალო თვისებები, დადგინდა მკურნალობის მეთოდები.

წყალტუბო ამჟამად ჩვენი ქვეყნის მშრომელების ჯანმრთელობის დაცვის მძლავრ კერას წარმოადგენს, სადაც ყოველწლიურად ათეულ ათასობით ადამიანი მკურნალობს.

საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით: მრავალფეროვანი რელიეფით, ძვირფასი ტყეებით, ზღვით, თერმული, ჰიპერთერმული თუ მრავალი სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლებით მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს საკურორტო ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდნენ ჩვენი წინაპრები უძველეს დროიდანვე ამ სიმდიდრეს.

საქართველოს საკურორტო სიმდიდრენი განსაკუთრებით ხელმისაწვდომი გახდა დღეს, როცა მყარ მეცნიერულ საფუძველზე სწარმოებს მათი შესწავლა და გამოყენება. საქართველო დღეს პირველხარისხოვანი კურორტების ქსელითაა დაფარული, ამ სფეროში მრავალი რამ გაკეთდა, მაგრამ წინ კიდევ ბევრი სამუშაოები მოგველის. საქართველოს მადლიანი მიწა, მისი მრავალი კუნჭული ჯერ კიდევ ამოუცნობ, მიუკვლეველ სიმდიდრეებს ინახავს, რომლებიც ჩვენმა მეცნიერებმა ხალხის სამსახურში უნდა ჩააყენონ.

პროფ. მ. წოდია
შ. მშვენიერაძე



წყალტუბო



ჯავა

ბორჯომი



# საინტერესო თემები



## ტაძარი მაღლა აიწევს

დარჩეს ზღვის ფსკერზე თუ მთის წვერზე ავიტანოთ? წყლის ქვეშ იყოს თუ ჰაერში? ასეთი საკითხები წამოიჭრა ამას წინათ საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის წინაშე, რომლებიც სწყვეტდნენ უძველესი დროის გრანდიოზული ნაგებობის — აბუ-სიმბელას კლდეებში გამოჭრილი ტაძრის ბედს. ეს ტაძარი თავისი ზომით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მისი სიმაღლე 33 მეტრია, სიგანე — 38, სიღრმე კი — 63 მეტრი.

ეს რთული პრობლემა წარმოშვა ასუანის კაშხალის მშენებლობამ. ამ კაშხალის აგების შედეგად იმ ადგილას, სადაც 3.200 წლის წინათ აღმართულ იქნა უძველესი ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი, წარმოიქმნება უზარმაზარი წყალსაცავი. ხელოვნური ზღვა გააცოცხლებს უნაყოფო უდაბნოს, შიმშილისგან იხსნის ასეულ ათასობით ადამიანს, მაგრამ დაფარავს საუცხოო ტაძრებსაც.

არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სუდანის რესპუბლიკას, რომელთა საზღვარზეც წარმოიქმნება ახალი წყალსაცავი, ძალა არ შესწევთ გადაარჩინონ მსოფლიო ხელოვნების ეს შედევრები. ორივე სახელმწიფოს მთავრობამ დახმარებისათვის მიმართეს მთელ მსოფლიოს. ამ დახმარების გაწევა ითავა საერთაშორისო ორგანიზაციამ — იუნესკომ. არქეოლოგებსა და ხელოვნებათმცოდნეებთან ერთად ძეგლების გადარჩენისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ინჟინრები და ფიზიკოსები.

სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებმა მრავალი სხვადასხვა პროექტი წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფს: ინგლისელების აზრით, ხელოვნურ ზღვასა და ტაძარს შორის აღმართულ უნდა იქნას 90 მეტრი სიმაღლის გიგანტური კედელი. მაგრამ ასეთი მშენებლობისათვის, რომელიც, სხვათა შორის, 22 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება, ახლომახლო არავითარი სამშენებლო მასალა არ აღმოჩნდა.

პოლონელმა პროფესორმა ცებერტოვიჩმა, წამოაყენა ეგვიპტელ ინჟინერ კხაფაგთან ერთად შემუშავებული უჩვეულო წინადადება. პროფესორ ცებერტოვიჩს არაჩვეულებრივი პროფესია აქვს — სპეციალისტია ელექტროგეოსმოსის დარგში. ეს არის ელექტრობით ნიადაგის გამაგრების მეთოდი, რომელიც შეიმუშავდა XIX საუკუნეში მოსკოვის უნივერსიტეტის ქიმიის პროფესორის რეისის ცდების საფუძველზე.

პროექტის ავტორები წინადადებას იძლეოდნენ გაემაგრებინათ კლდე, რომელშიც გამოჭრილია ტაძარი, „ელექტრული ნემსების“ მეოხებით, გაეხადათ იგი წყალშეუვალი, ხოლო შემდეგ გადაეხურათ ტაძარი რკინა-ბეტონის გიგანტური ჯამით, რომელშიც ჩატანებული იქნებოდა ორი ვერტიკალური შახტა — ერთი ტაძრის შესასვლელთან მნახველების ლიფტით ჩასაყვანად, მეორე კი ვენტილაციისათვის.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პროექტი გონებამახვილურად იყო შედგენილი, აბუ-სიმბელას შედევრებს არ ეწერათ წყალში რკინა-ბეტონის უზარმაზარ თაღებქვეშ ყოფნა. არა ლამპიონთა ცივი ციმციმი, არამედ მზის ცხოველმყოფელი სხივები გაანათებენ კვლავინდებურად იდუმლად მომღიმარ ქვის გოლიათებს, რომლებიც აბუ-სიმბელას მთავარი ტაძრის შესასვლელს იცავენ.

საერთაშორისო ექსპერტების კომისიამ გადაწყვიტა განახორციელოს იტალიელი სპეციალისტების: ინჟინერ ლოდილიანის, პროფესორების კოლონეტისა და მორანდის პროექტი. გრანდიოზული ტაძარი, წონით 300.000 ტონა, აწეული იქნება 62 მეტრის სიმაღლეზე.

მშენებლებს განზრახული აქვთ ტაძრის კლდიდან გამოჭრა, ბეტონის ვეება რკალითა და ფოლადის სამაგრებით შეკვრა და უზუსტესი ავტომატების მეოხებით მისი ზემოთ ამოტანა.

ასევე ასწევენ მაღლა გვერდით მდგომ, გაცილებით პატარა ზომის დედოფალი ნეფერტარის ტაძარს. სამოცდაათ თვეს, თითქმის ექვს წელიწადს მოუნდებიან ამ გიგანტური სამუშაოების განხორციელებას, რომელთა ღირებულება 25 მილიარდ ფრანკს შეადგენს. ძნელად თუ მოხერხდებოდა უძველესი ხელოვნების ამ უძვირფასესი შედევრების შენარჩუნება, ეს ხარჯები რომ არ ეთავა იუნესკოში შემავალ მსოფლიოს 81 სახელმწიფოს.



## ვინ გამოიგონა მეხამრიდი

რა თქმა უნდა, ცნობილმა ამერიკელმა სწავლულმა და საზოგადო მოღვაწემ ბენჟამენ ფრანკლინმა. 1750 წლის 29 ივლისს თავის ორ წერილში ფრანკლინმა გამოთქვა აზრი, რომ მაღლა აშვერილი წვერწამახვილებული რკინის ჯოხი, თუკი მას ლითონის მავთულით შევაერთებთ მიწასთან, განმუხტავს ღრუბლებს და იხსნის ადამიანებს მეხის „ჩამოვარდნით“ გამოწვეული უბედურებისაგან. 1760 წელს ფრანკლინმა ქ. ფილადელფიაში მოაწყო თავისი პირველი მეხამრიდი.

ნუ ვიკამათებთ, 1750 თუ 1760 წლებში გამოგონილ იქნა მეხამრიდი... სჯობია მივმართოთ სწავლული ბერისა და მოგზაურის გაბრიელ დე მაგალანის შრომას აზიის ქვეყნების შესახებ, რომელიც გამოცემულ იქნა 1688 წელს; აღწერს რა ძველებურ საცხოვრებელ სახლს, იგი წერს: „მას სახურავზე დადგმული აქვს რქები, რომლებიც აშვერილია ცისკენ და დამშვენებულნი არიან ურჩხულებით. ამ საშინელებებს ნესტარი მაღლა აქვთ აწეული. ამ ნესტარს შუაში ჩაუდის ლითონის მავთული, რომლის ქვემო ბოლო მიწაშია ჩაფლული. და თუ შემთხვევით სახლს ელვა დაჰკრავს, იგი გაივლის ურჩხულების ნესტარით მიცემულ გზას, დაიკარგება მიწაში და არავითარ ზიანს არ აყენებს სახლს“.

ეს დაკვირვება გაკეთდა ფრანკლინამდე თითქმის ასი წლით ადრე. რამდენ ხანს არსებობდა მანამდე მეხამრიდი აღმოსავლეთის ქვეყნებში?

აქვე შევნიშნავთ, რომ იმ დროს, როცა მაგალანის წიგნი გამოვიდა, ევროპაში არავის თავშიც არ მოსდიოდა ელვის ელექტრული ბუნება. მაშინ ელვის შესახებ სწავლულებს შორის გამეფებული იყო ის აზრი, თითქოს ეს იყო „გაზისმაგვარი გამონაყოფების აფეთქება“.



## წესრიგის ჩლიქოსანი დამრღვევი

ამას წინათ ინგლისის ზოგიერთი საგრაფოს ხელისუფლებმა მიიღეს შემდეგი დადგენილება: იმ ძროხებს, რომლებიც ბინდბუნდში საავტომობილო გზებზე დადიან, წინ გაკეთებული უნდა ჰქონდეთ თეთრი ფარანი, უკან — წითელი.

საინტერესო ის არის რომ ეს დადგენილება მიიღეს ავტომობილისტების მოთხოვნით. უკანასკნელ ხანებში ინგლისის გზებზე გახშირდა „ფეხით მოსიარულე“ რქოსნებთან ავტომანქანების შეჯახების შემთხვევები, რის დროსაც ბევრი ავტომანქანა ზიანდებოდა.

ახლა, როცა ამ საგრაფოების გზებზე საღამო ჟამს თეთრი და წითელი სინათლე გამოჩნდება, შოფერმა იცის, რომ საქმე ძროხასთან აქვს და ფრთხილად უვლის მას გვერდს.

## მეგობრები

ორივენი დიდი ხანია მეგობრობენ ერთმანეთს. ორნახევარი წლის წინ პატარა მარგარიტას საყვინთავი კოსტიუმი აჩუქეს. აუზში ის დელფინთან ერთად ცურავდა. ამის შემდეგ დღე ისე არ გავა, რომ ერთმანეთს პაემანი არ დაუნიშნონ. დელფინი გოგონასთან შესახვედრად ნაპირზე ამოდის, თავის დრუნჩს უშვერს და კეფას აფხანინებს. შემდეგ იგი ზურგზე ისვამს პატარა მეგობარს და აუზში აცურავებს.

ეს ამბავი ფლორიდის ცირკის აუზში ხდება.

საინტერესო თემები

# ვინ იქნება პეტროსიანის მეტოქე?

ომის შემდგომ წლებში, მსოფლიოს იმდროინდელმა ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა განაცხადა: „მე საჭადრაკო სამყაროს ჰეგემონი კი არა ვარ, არამედ თანასწორთა შორის პირველი მოჭადრაკე“. ეს სიტყვები სრული უფლებით შეიძლება გაიმეოროს მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმაც; ჯერჯერობით მას შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ჩემპიონთან შეხვედრის პრეტენდენტებმა ხანგრძლივი დავა უნდა გადაწყვიტონ. წინ არის ორი მეტად საინტერესო შეჯიბრება: მსოფლიო ჩემპიონობის ე. წ. „საზონათაშორისო ტურნირი“, და რაც მთავარია, პეტროსიანთან შეხვედრის რვა პრეტენდენტის დასკვნითი პაექრობა.

ვინ შეიძლება ჩაითვალოს პეტროსიანის მთავარ მეტოქედ? ეს ისეთი რთული კითხვაა, რომელზედაც დღეისათვის თვით მსოფლიო ჩემპიონიც კი ვერ პასუხობს. სამაგიეროდ შეიძლება წამყვანი დიდოსტატების ჯგუფის დასახელება, რომელთაც მორალური უფლება აქვთ შეებან „თანასწორთა შორის უძლიერესს“.

დავიწყოთ თუნდაც მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონით — მიხეილ ბოტვინიკით. ჩემპიონობის დაკარგვა უდავოდ საწყენია, მაგრამ ბოტვინიკი უკვე კარგა ხანია მიეჩვია ამ წოდების დაკარგვასა და დაბრუნებას. ორმოცდაცამეტი წლის ბოტვინიკი ძალღონით აღსავსეა და ახალი ბრძოლებისაკენ მიილტვის. გავიხსენოთ მისი ბრწყინვალე თამაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, სადაც მან ცხრა შესაძლებლიდან რვანახევარი ქულა მოაგროვა. ბოტვინიკმა ისე დამაჯერებლად სძლია დიდოსტატებს — ხოლმოვსა და ტაიმანოვს, რომ პეტროსიანის მწვრთნელმა სუეტინმა სიმართლენარევი ხუმრობით თქვა: „კიდევ კარგი, რომ ყოფილ მსოფლიო ჩემპიონებს რევანშის უფლება ჩამოერთვათო“. დეკემბერში ბოტვინიკი ამსტერდამში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა; მან იოლად დაიჭირა პირველი ადგილი და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი პრეტენდენტებს შორის გამართული პაექრობის დროს ერთ-ერთი უძლიერესი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ბოტვინიკს ჯერჯერობით ხანი არ ეტყობა.

უკვე ათი წელია, რაც პაულ კერესს ერთი ნაბიჯი დააკლდება ხოლმე მსოფლიო ჩემპიონობამდე. 1937 წლიდან კერესი ჯერ მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონის — ალექსანდრე ალიოხინის ერთ-ერთი ძირითადი მეტოქე იყო, ხოლო შემდეგ მომდევნო მსოფლიო ჩემპიონების — მიხეილ ბოტვინიკის, ვასილ სმისლოვისა და მიხეილ ტალის ძირითადი მეტოქეც. მაგრამ დრო გადის და „ძირითადი მეტოქე“ ვერ იქნა და ვერ გახდა ჩემპიონი, თუმცა რამდენჯერმე სულ ახლოს იყო საწადელთან. კერესი უკვე ორმოცდარვა წლისაა, მაგრამ ჯერჯერობით მეტად მხნედ გრძნობს თავს. შარშან ლოს-ანჯელოსში რვა უძლიერესი დიდოსტატის პაექრობაზე პეტროსიანთან პირველ-მეორე ადგილების გაყოფა უდავოდ იყო ესტონელი მოჭადრაკის სპორტული მიღწევების ერთ-ერთი მწვერვალი.

ბოტვინიკსა და კერესს, სხვა პრეტენდენტებთან შედარებით, ის უპირატესობაც აქვთ, რომ მათ არ უნდა გაიარონ შესარჩევი შეჯიბრების გზა, სადაც ზოგიერთს შეიძლება „ფეხიც დაუცდეს“.

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მიხეილ ტალი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული მოჭადრაკეა. მისი „განდიდება და დაცემა“ ელვის სისწრაფით მოხდა, ახლა კი ტალი კიდევ ერთხელ ცდილობს დაადგეს „ვიწრო ბილიკს მწვერვალებისაკენ“. ტალი ბევრს თამაშობს და ცდილობს აღიდგინოს „1957-1960 წლების ფორმა“. თავის დროზე გერმანელი ოსტატი ბრინკმანი ტალს „დემონური ძალის გენიალურ მოიერიშე მოთამაშეს“ უწოდებდა. 1962 წელს ეს „დემონური ძალა“ გაქრა, მაგრამ ეს იმის გამო მოხდა, რომ ტალმა სერიოზული ავადმყოფობა გადაიტანა. გასულ წელს ტალის ჯანმრთელობამაც და სპორტულმა ფორმამაც საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს დაკარგულის დასაბრუნებლად. თვით რიგელი დიდოსტატი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ვნახოთ...

მას შემდეგ რაც ვასილ სმისლოვმა მსოფლიო ჩემპიონობა დაკარგა, მას ხანგრძლივი დეპრესია დაეწყო. ეს დეპრესია ისე გაგრძელდა, რომ ზოგმა მიმომხილველმა საერთოდ ჩაიქნია ხელი სმისლოვზე. როგორც დიდოსტატმა ალექსანდრე კოტოვმა გვითხრა, იგი შარშან ჰასტინგსის საახალწლო ტურნირის დროს გაოცებული იყო ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ულიმლამო თამაშით და ხუმრობით უმღეროდა მას ოპერა „მეფის საცოლედან“ სპეციალურად გადაკეთებულ არიას: „ვერ ვცნობ ვასილ სმისლოვს“. და აი, შარშანდელი წლის ნოემბერში კოტოვი შორეულ ავსტრალიაში ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნდა და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს შორის „იცნო“ ვასილ სმისლოვი, ნამდვილი 1956-1957 წლების სმისლოვი! ამ შეჯიბრებაში მოსკოველი დიდოსტატი ისე ბრწყინვალედ თამაშობდა, რომ თავის მრავალმნიშვნელოვან ქომაგებს „გული მოუბრუნა“. ახლა სმისლოვი ისევ ითვლება მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ უახლოეს პრეტენდენტად.

ამ „შესანიშნავი ოთხეულით“ როდი ამოიწურება პეტროსიანთან შეხვედრის მსურველი საბჭოთა დიდოსტატების რიცხვი. მსოფლიო ჩემპიონობისაკენ მიილტვიან მაღალნიჭიერი ეფიმ გელერი, რომლის ფიგურები უკან არ იხევენ, კონტრშეტევის ვირტუოზი ვიქტორ კორჩნოი, „ცბიერი“ და მარჯვე დავით ბრონშტეინი, შეუდარებელი დამცველი რატმირ ხოლმოვი, უნივერსალური მოჭადრაკე ბორის სპასკი. ვნახოთ, რომელ მათგანს გაუღიმებს ბედი!

მსოფლიო ჩემპიონობის უცხოელი პრეტენდენტებიდან თვით პეტროსიანი აღნიშნავს სამს: იუგოსლავიის ათგზის ჩემპიონს სვეტოზარ გლიგორიჩს, ამერიკის შეერთებული შტატების მრავალგზის ჩემპიონებს — სამუილ რეშევსკისა და რობერტ ფიშერს. გლიგორიჩი ცნობილია იმით, რომ იგი წარმატებით იბრძვის ხოლმე პეტროსიანის წინააღმდეგ. მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, იუგოსლაველმა არ უღალატა ტრადიციას და ახალ „გვირგვინოსანს“ პირველი დამარცხება აგემა. მართალია, პეტროსიანმა მყისვე აიღო რევანში, მაგრამ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ გლიგორიჩმა იცის პეტროსიანის „რაღაც საიდუმლოება“.

ახლა, როდესაც პეტროსიანის მეტოქე მატჩების გზით უნდა შეირჩეს, ძლიერ იზრდება რეშევსკის „აქციები“. საქმე ის არის, რომ მას არასდროს წაუგია არც ერთი მატჩი და, ამავე დროს, დამარცხებული ჰყავს ბევრი პირველხარისხოვანი დიდოსტატი. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ რეშევსკის ასაკიც (იგი 1911 წელსაა დაბადებული); მიუხედავად ამისა, ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი რეშევსკის მეტად სახიფათო მეტოქედ მიიჩნევს.

კიდევ უფრო სახიფათო მეტოქედ უნდა ჩაითვალოს ფიშერი. მართალია, თვით ფიშერი აცხადებს, რომ არ იბრძოლებს საზონათაშორისო ტურნირში, რადგან საჭადრაკო სამყაროში ვერ ხედავს თავისთვის ღირსეულ მეტოქეს (?!), მაგრამ ეს მის მორიგ ფანდად უნდა ჩაითვალოს. ფიშერი ცდილობს მოწინააღმდეგეების ყურადღება მიაძინოს. როგორც თვით პეტროსიანი მიიჩნევს, ფიშერი უდიდესი ნიჭითაა დაჯილდოებული, მაგრამ მასზე დამღუპველად მოქმედებს საკუთარი ძალების გადაჭარბებით შეფასება და ამდენად სხვების დაუფასებლობა.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის მდგომარეობა არ არის იოლი — მას ბევრი ღირსეული მეტოქე ჰყავს. მაგრამ ბევრად უფრო ძნელია თვით მეტოქეთა მდგომარეობა. მათ ხომ ერთმანეთის „გვამებზე“ უნდა გაიარონ!

ბ. ბამრეკელი




ბაგუ მებურიშვილი

ირხევა სივრცის დაღლილი კალთა
და ლეგა ბინდში მიწა დანთქმულა,
მე ციდან ვისმენ სიხარულს ათასს,
მე ციდან ვისმენ ათას სამდურავს.

სიყვარულს თესავს, სიძულვილს თესავს,
საუკუნეთა ბრუნვა-ტრიალი...
ცაშია დღესაც, ცაშია დღესაც,
სუნთქვა პირველი ადამიანის.

და სევდა ციდან ჩამოაქვთ წვიმებს,
ლხენაც ჩამოაქვთ ციდან ხანდისხან
და მე მწყურია ძლიერ და ძლიერ
ზეცის ვეება წიგნის წაკითხვა.

მოლურჯო დელგმა, მოლურჯო თქეში,
მიწას უშუშებს გვალვის იარებს,
პირველი სიტყვა, პირველი ლექსი,
ცოცხალია და ცაში ფრთხიალებს.

ცა არის სავსე უფერო გზებით
და ჩიტუნების ფრთების ფათქუნით,
ზეცაში ყველა სიმღერის ზევით
ჟღერს და ღუღუნებს იავნანური.

ზღაპრებს, არაკებს, თქმულებებს ზეპირს
ყოველ მტკაველზე ცაში შეხვდები,
რუსთველს და დანტეს, პუშკინს და შექსპირს,
გუნდრუკს უკმევენ თვითონ ღმერთებიც.

ცაში გაუდის ოცნებებს მსხვრევა,
ცაში ბორგავენ მძაფრი ვნებები,
ცა არის სავსე ქორწილის ხმებით
და გულმდუღარე დატირებებით.

ცასაც უწია შუღლმა და მტრობამ,
ზეცა ომების კვამლმა შეღება...
ცას ახსოვს ცხარე ბრძოლები ტროას
და კართაგენის კარის შეღება.

ზეცა გულგრილად არაფერს ხედავს,
თრთოლვით დასცქერის განგსა თუ ნილოსს...
და ელანდება ვაიმე, დედა,
და ელანდება ვაიმე, შვილო!

ბევრს თავზე მეხის თავზარი დასცა
და ბევრის სისხლი მკერდზე მიახმა...
ბოროტს და კეთილს, ავსაც და კარგსაც,
საშვილიშვილოდ გულში ინახავს.

ირმის ნახტომი აჩნია დაშლად,
მჭიდროდ შეუკრავს ხომლი მჯიღივით;
გაჩენის დღიდან ღიღინი რაა,
არ დაჰკარგვია კაცის ღიღინიც;

მზის გული უცემს, მზის გული უხურს,
და ღამეს ტანზე იცვამს ხალვათად...
და რაკეტების უმძლავრეს გუგუნს
დიდ სიჩუმეში ჰკარგავს თანდათან.

თუ მოესურვა, თეთრ ნისლებს აშლის,
მთებზე გაწელავს ღრუბლების გარმონს...
და პოეზია არსებობს ცაში
ზეპირად თქმული ლექსების გამო.

ზეცაში ჩემი ბოხი ხმა ისმის
ხან უქარაგმოდ, ხანაც ქარაგმით,
ჩემი და შენი, შენი და მისი,
ტკბილი ბაასი და ლაპარაკი.

ზეციდან ათას სიხარულს ვისმენ,
ათას თხოვნას და ათას ვედრებას.
მსურს ქვეყნად ხალხი ცხოვრობდეს ისე,
რომ არ წამოცდეს ბედზე ყვედრება.



მსახიობი ცაცინო ცაციშვილი ჩვენს მაყურებელს კარგად ახსოვს ფილმებიდან „სხვისი შვილები“ და „ერთი ცის ქვეშ“. ამჯერად კი იგი თქვენს წინაშეა არა როგორც მსახიობი, არამედ როგორც ქიმიკოსი. ცაცინო მუშაობს საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად.

## ფრთოსანი დისერტანტი

ერთხელ გუგულმა, ენამჭემ,
უებრო ჯაფა გასწია
და მეცნიერულ თემაზე
დასწერა დისერტაცია.

დისერტანტს შრომის საფუძვლად
ხაზგასმით ჩაუწერია:
— ვინც მომავალზე არ ზრუნავს,
თავისი თავის მტერია!

— ვამბობ, ფრთოსანი ასეთი,
არის მრავალზე მრავალი,
ბუდე აქვს, მაგრამ ჰყავს ერთი,
ან ორი შთამომავალი.

არ ვიწვით როგორც აბედი,
მამაპაპური შეგნებით,
თუ ამ მრუდე გზით წავედით,
უთუოდ გადავშენდებით.

გუგულის ნაშრომ-ნალვაწი
შეაქეს ოპონენტებმა:
— მეცნიერების მაღალ ცის
ბრწყინვალე ვარსკვლავს ედრება.

შარბათმოსხმული სიტყვები
ტაშის ქარ-ცეცხლმა დაფარა,
როცა დაჰყურდნენ ჩიტები,
ფეხზე წამოხტა ჯაფარა.

— მიკვირს, — წარმოთქვა ხმამაღლა,
გუგულს რომ ტაში აჩუქეთ, —
განა არ იცით, თამადა
ამ თემას უკეთ აშუქებს!

ესეც არ იყოს, უგნური
არის, ვინც აქო გუგული,
მას ხომ ერთადერთ მემკვიდრეს
სამადლოდ უზრდის ბულბული.

— ჭიკ-ჭიკ! — შესძახა მერცხალმა, —
— ღუ-ღუ-ღუ... — მას აჰყვნენ მტრედებიც,
დისერტანტს ფერი ეცვალა,
დამუნჯდნენ ოპონენტები.

როცა ჯაფარა დაბრძანდა,
კრიტიკა ისე გაცხარდა,
ხარისხს რომ ელოდებოდა,
კენჭისყრაც აღარ დასცალდა.

ქიშვარდ ისაკაძე

# წინაპარი და შთამომავალი

## იუმორესკა

რომან მიმინოშვილი

— გია, მაიმუნი ადამიანის წინაპარია!..

ბავშვმა გაოცებით შეხედა დედას, შემდეგ — პატარა მაკაკას, რომელმაც ენა გამოუყო და მზესუმზირას დარჩევა განაგრძო.

— რა არის „წინაპარი?“

— წინაპარი? როგორ გითხრა... — დაიბნა ახალგაზრდა ქალი, — წინაპარი იცი რა არის? ახლავე გეტყვი...

დედა დაბლა დაიხარა, გია ხელში აიყვანა.

მაიმუნი ბადეს მოაწყდა და პატარა ხელი სათხოვნელად გარეთ გამოჰყო. ბავშვმა დედას ნიკაპში ხელი მოჰკიდა და მოახედა:

— დედიკო!..

— გია, მისმინე! შენ ხომ გყავს ბებია?

— ნატო ბებო?

— ჰო, ნატო ბებია...

— მყავს ნატო ბებო!

— შენი ბებია პატარა რომ იყო, ბებია ხომ ეყოლებოდა?

— ნატო ბებია ახლაც პატარაა...

— არა, შვილო, ტანად არის პატარა, თორემ ისე ხომ დიდია.

— ბებერია?

— ჰო, მოხუცია. მაგრამ ერთ დროს ისიც ხომ ბავშვი იქნებოდა?

გია დაფიქრდა და თანხმობით თავი დახარა.

— ჰოდა, როცა ნატო ბებო ბავშვი იყო, იმასაც ხომ ეყოლებოდა თავისი ბებია?

გიამ საჩვენებელი თითით ზედა ტუჩი აიწია და დაფიქრდა. მართლაც, თუ ნატო ბებია წინათ ბავშვი იყო, უბებიოდ როგორ იქნებოდა?

— დედიკო, მეც რომ დავბერდები, ბებია ვიქნები?

— აბა რას ლაპარაკობ, გია, შენ ხომ ბიჭი ხარ! ბავშვმა შვებით ამოისუნთქა.

— დედიკო, შენც ხომ არ დაბერდები?

გიას უნდოდა მუდამ ასეთი ლამაზი ყოფილიყო დედა. ქვეყანაზე დედასავით ლამაზი არავინ იყო, მამაც კი.

— შენ არ დაბერდები!.. — თვითონვე უპასუხა ბავშვმა კითხვას.

დედა კვლავ დაუბრუნდა ნატოს ბებიის ამბავს.

— ნატო ბებიას რომ ბებია ჰყავდა, ისიც დიდი ხნის წინათ პატარა იყო და სხვა ბებია ჰყავდა...

გიამ გაოცებით შეხედა. შემდეგ მიხვდა ნათქვამის აზრს და აღტაცებით წამოიძახა:

— იმას კიდევ ბებია, იმ ბებიას — ბებია! ბებიას — ბებია!..

ბავშვმა ტაში შემოჰკრა და დედამ ჩაჰკოცნა შვილი, მისი საზრიანობით გახარებულმა.

— ყველაზე პირველი, ყველაზე ძველი ბებია მაიმუნი იყო! — დაამთავრა დედამ.

ბავშვმა გაოცებით შეხედა. რა შუაშია აქ მაიმუნი? შემდეგ მხიარული სიცილით დაბლა ჩამოხტა, გალიაში დამწყვდეულ მაკაკას ფუნთუშის ნატეხი ესროლა.

— ეს იყო ბებია?...

„ვერაფერი გაიგო“ — გაიფიქრა დედამ და ინანა, რომ ასე ნაადრევად აუხსნა პატარას მისთვის გაუგებარი მოძღვრება.

საღამოს გიას ლოგინთან მიუჯდა ნატო ბებია. მოხუცს ქართული ზღაპრების წიგნი გადაეშალა და „ასფურცელას“ მგონი მეასედ უკითხავდა შვილიშვილს. ბავშვს არასოდეს მოსწყინდებოდა, თუნდ სულ ერთი ზღაპარი ეკითხათ, ბებიას კი სათვალე თვალებზე ძლივს უმაგრდებოდა და თავისივე ხმა აძინებდა. ლამის ძილის დროს ლაპარაკს მისჩვეოდა, გიას რომ დროზე არ გამოეფხიზლებინა ხოლმე.

— ბებო, უკვე რაღაც უაზროდ ლაპარაკობ!...

მაგრამ ახლა, როცა ნატომ ჩათვლიმა, ბავშვმა ხელი მოჰკიდა, მოახედა და თითქოს საიდუმლოს ანდობსო, ჩურჩულით ჰკითხა:

— ბებო, მე ხომ შენი შვილიშვილი ვარ?

— კი, გენაცვალოს შენი ბებია! შენ ხარ ჩემი შვილიშვილი... დაიძინე, გეყოფა ახლა,—საბანი შემოუკეცა და წამოდგომა დააპირა. ბავშვმა ხელი ჩაავლო და მიიზიდა. ბებია საკოცნელად დაიხარა, მაგრამ გიამ ტუჩებზე ხელი დააფარა — არ გამიწყრესო და ჰკითხა:

— მეც ხომ მეყოლება შვილიშვილი?

ნატო გაოცდა.

— კი, ჩემო პატარა, გეყოლება...

— იმასაც ხომ ეყოლება?

— იმასაც...

— იმას?

— იმასაც ეყოლება...

— იმას?

თანდათან ხმას უმაღლებდა გია, თანდათან უფრო უკვირდა ნატოს, ბოლოს ბავშვურ ახირებად მოეჩვენა ეს კითხვები და გაუჯავრდა:

— ჰო, იმასაც... გეყოფა, დაიძინე!

გია ლოგინზე წამოჯდა და თვალები სიანცით აუციმციმდა:

— ჰოო და, შენ მაშინ მაიმუნი იქნები!

გაოცებულმა მოხუცმა სათვალეს ზემოდან გადმოხედა ბავშვს.

— ნუ სულელობ! ეგ ვინ გითხრა?

— ვინ და დედიკომ!

ნიშნის მოგებით უპასუხა ბავშვმა და საბანში შეძვრა, გია ამაყობდა, რომ მისი დედა ასე ჭკვიანი იყო და ამდენი რამ იცოდა.

ნატოს გული ჩაწყდა.

„რატომ უნდა უთხრას რძალმა ბავშვს, შენი ბებია მაიმუნიაო! ნეტავ, რა დამიშავებია?“

საგონებელს მიეცა მოხუცი.



ნახატი-ხუმრობა ა. ერაძისა

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/II-64 წ. გამომც. № 14, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 98, უე 04086

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტაგორაზე.

ფოტო თ. არჩვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა









## ახალი ფილმი

„ალმაფრენა“ — ასე ეწოდება ახალ, ფართოფორმატიან მხატვრულ ფილმს, რომელიც გამოუშვა კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“.

სცენარის ავტორია ანზორ სალუქვაძე;

დამდგმელი რეჟისორი — ნანა მჭედლიძე;

ოპერატორი — გია ჭუბაბრია;

მხატვარი — დინარა ნოდია;

კომპოზიტორი — ნოდარ მამისაშვილი.

ფილმი მოგვითხრობს პატარა ბიჭუნას ოცნებებზე, რომელსაც სურს გააკეთოს თვითმფრინავი, რომელიც ისევე გაფრინდება, როგორც ნამდვილი.

ბიჭუნას როლს ასრულებს ექვსი წლის შაქრო ჯორჯაძე. უნდა აღინიშნოს, რომ ფართოფორმატიანი ფილმის გადაღება ქართული კინოსტუდიის პირველი ცდაა.